

კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი

წიგნი I

ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და
ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს

აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ

THE GREAT DEFTER of TBILISI VILAYET 1728

VOL. I

The Ottoman Text, with Georgian Translation, introduction,
research and Facsimiles Prepared for Publication by
Academician **Sergi Jikia** and Professor **Nodar Shengelia**.

ПРОСТРАННЫЙ РЕЕСТР ТБИЛИССКОГО ВИЛАЙЕТА 1728

КНИГА I

Перевод османского, ведение, комментариями и факсимиле снабдили и
подготовили к изданию Акад. **С.С.Джикия** и Проф. **Н.Н.Шенгелия**

DEFTERİ MUFASSAL VİLAYETİ TİFLİS

CİLT I

Gürcüce çevirsini, Girişi, Notları, ve Faksimilesini Hazırlayan
Akad. **Sergi Cikia** ve
Prof. Dr. **Nodar Şengelia**

Tbilisi-Тбилиси-Tbilisi

2009

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან.....	5
შესავალი.....	7
ფრიდონ ხალვაშის მოგონებანი აჰმედ მელაშვილზე.....	8
1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი.....	29
1728 Tarihli Tiflis Vilayeti Mufassal Defteri.....	36
1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის ვაკუფ-ნამე.....	43
ქართული თარგმანი (და შენიშვნები).....	46
თბილისის ვილაიეთის სოფლების სარჩევი.....	60
გორის ლივა	
საციციანოს ნაჰიე.....	132
პეტრეს ნაჰიე.....	225
ამილახვრის ნაჰიე.....	253
შავი არაგვისა და შანშეს ნაჰიე.....	411
გორის ციხე	
გორის რაბათი.....	439
მუხრანის ნაჰიე.....	450
თრიალეთის ყაზა.....	457
გომარეთის ნაჰიე.....	507
გუჯარეთის ნაჰიე.....	518
ყაიყულის ყაზა-თბილისის ლივაში.....	524
The 1728 Great Defter of Tbilisi Vilayet (Book. I) Summary	
(Acad. Sergi Jikia, Prof. Nodar Shengelia).....	564
დედანი.....	566

რედაქტორი: პროფ. მირიან მაზარაძე
რეკენზენტი: პროფ. ზაზა შაშიკაძე

კავკასიისა და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი წიგნის გამოცემისთვის
მადლობას უხდის კომპანია ჯეოსელს და მის გენერალურ
დირექტორს ბატონ ოსმან თურანს.

ISBN 978-9941-407-07-9

გამომცემლობა ჰოროსი XXI
PUBLISHING HOUSE HOROSI XXI



მისამართი: თბილისი პუშკინის ქ. №13 II სართული. ოთხ. 2
ტ. (99532) 997078

რელაქტორისაგან

1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა აღმოსავლეთ საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ხალხთა არაერთი საკითხის შესასწავლად. მას, როგორც წყაროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ლინგვისტური, ონომასტიკური, ისტორიული გეოგრაფიისა და სხვა საკითხების შესასწავლად. მასზე დიდი ხანი მუშაობდა აკად. სერგი ჯიქია. მან დავთრის ორივე ტომი წაიკითხა ბოლომდე, მაგრამ მისი გამოსაცემად მომზადება ვერ მოასწრო.

ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დიდი დავთარი, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის შესახებ ძალიან საინტერესო მონაცემებს. წყარო უეჭველად, დიდი მნიშვნელობის მქონე ძეგლია.

თბილისის დავთარს თან ახლავს ვაკუფ-ნამეს სრული ტექსტი, რომელიც სრულიად უცნობი იყო ქართულ ოსმანისტიკაში. თბილისის დავთრის პირველ ტომში მოცემული ვაკუფ-ნამეს სრული ტექსტი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა ძლიერ ეკონომიკურ შესაძლებლობებს ფლობდა სავაკუფო სისტემა მთელ მუსლიმურ სამყაროში, ასევე საქართველოშიც. ქართლში ოსმალობის დამყარების რამდენიმე წლის შემდეგ თბილისის მთელს შემოგარენში და ახლო-მახლო ტერიტორიებზე საკმაოდ გავრცელებული ყოფილა სავაკუფო მიწათმფლობელობა. თბილისის დავთრის პირველი ტომის მნიშვნელოვანი ნაწილი ვაკუფების მფლობელებს უკავია, რომლებიც წარმატებით ახორციელებდნენ თავიანთ გამგებლობას ქართულ მიწებზე. ეს მიწები მუსლიმური მეჩეთების მფლობელობაში იყო და მათი შესვეურებიც, რა თქმა უნდა მუსლიმები იყვნენ.

აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დავთარში არაა რეგისტრირებული არც ერთი ქართული გადასახადი. ამდენად, თბილისის ვილაიეთის დავთრის ორივე ტომი იძლევა ცნობებს მხოლოდ ოსმალური გადასახადების შესახებ. ამკარაა, რომ წყარო ერთ-ერთი საუკეთესო მასალაა ოსმალური გადასახადებისა და სავადასახადო სისტემის მთელი რიგი საკითხების შესასწავლად.

დავთარში დაწვრილებითაა გადმოცემული ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს ისეთი რეგიონების შესახებ, როგორცაა: პეტრეს ნაჰიე, მთელი ბორჯომის ხეობა, საციციანო, საამილახვრო, ქსნისა და არაგვის ხეობა, გომარეთის ნაჰიე, ყაიყულისა და თრიალეთის კაზები და სხვა.

დავთრის მეორე ტომი მოიცავს 558 გვერდს. იგი იწყება თბილისის ვილაიეთში შემავალი სოფლების დასახელებით. უპირველეს ყოვლისა, განხილულია საბარათიანოს ნაჰიე. მოცემულია თითოეულ სოფელში არსებული გადასახადები, მოსახლეობის რაოდენობა, შემადგენლობა, თითოეულ სოფელზე შეწერილი გადასახადების საერთო ჯამი, ჩამოთვლილია თითოეული სოფლის კომლთა რაოდენობა.

დავთარში დასახელებულია 1000-ზე მეტი სოფელი. მას იქვე აქვს მიწერილი

თითოეული სოფლისთვის დაწესებული გადასახადების რაოდენობა. ჩამოთვლილია ისეთი სოფლები როგორცაა: სამშვილდე, კრწანისი, მანგლისი, დმანისი, ამლევნი, აბანო, ჩხიკვა, მაწევანი, არმაზი, ოქროყანა, კოჯორი, წყნეთი, ახალდაბა, ბეთანია, ლისი, დიღომი, მუხათგვერდი, თელეთი, სარკინეთი და სხვა მრავალი. აქვე ჩამოთვლილია ყიშლალეები და ჯამაათები. დაწვრილებითაა აღნიშნული ყოველი დასახლებული პუნქტი.

ვრცელი სარჩევის შემდეგ დაეთარში მოცემულია სრული მონაცემები ჩამოთვლილი თითოეული სოფლის შესახებ. ასევე, მოცემულია სოფლებს შორის არსებული საზღვრები. საუბარია ასევე ყიშლალეების, ჯამაათებისა და იუზბაშების შესახებ. ყველა ეს ტერიტორია შედის თბილისი ვილაიეთში. ესენია: საბარათიანოს, ბაიდარის, თემურჯი პასანლუს, სომხითის, ტაშირის, ფანბაქის, აღჩა-ყალას, ანჩას, ჯავადის, აჰსაბადის და ბერთის პროვინციები.

მომრავლებულია მომთაბარე თურქმანთა ტომებისათვის დამახასიათებელი იათაკები და ყიშლალეები. ჩანს, რომ თურქმანული ტომების დიდი მოძალეაა ამ პერიოდში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არაა ქართული, ქრისტიანული მოსახლეობა. შესაბამისად, არც ქართული სამღვდელეობაა წარმოდგენილი. მთელს ქვემო ქართლში მასიურად თურქული მოდგმის ტომებია ჩამოსახლებული.

აღნიშნული დავთრების გამოქვეყნებით ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალ საინტერესო საკითხს გაეცემა პასუხი.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი მირიან მაზარაძე

შესავალი

1968 წელს, იზმირის საერთაშორისო გამოფენაზე თარჯიმნად მუშაობის დროს, შესაძლებლობა მომეცა გამეცნო თურქეთის ქართველი აჰმედ მელაშვილი, რომელმაც გამოთქვა სურვილი სამსახური გაეწია ქართული საქმის, ქართული მეცნიერებისათვის. საბედნიეროდ მე თან აღმომაჩნდა შიფრი თბილისის ვილაიეთის დაეთრისა, რომლის ორტომეული სტამბოლში არსებულ მინისტრთა საბჭოს არქივში ინახებოდა. მაშინდელ პირობებში იმ არქივში ქართველის შეღწევა და დაეთრის გადაღება შეუძლებელი იყო.

აჰმედ მელაშვილმა დიდი მეცადინეობის შედეგად შეძლო დაეთრის მიკროფილმის მოპოვება, რომელიც საქართველოში ჩამოიტანა ცნობილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ფრიდონ ხალვაშმა. ბატონი ფრიდონის მოგონება ამ დაეთრის საქართველოში ჩამოტანასთან დაკავშირებით აქვე ქვეყნდება.

დაეთარი პირადად ალექსი ინაურმა მიიღო. ეს დაეთარი უშიშროების კომიტეტის თანაშრომლის, შემდეგში უშიშროების მინისტრის, ანზორ მაისურაძის მიერ წარდგენილ იქნა ცენტრალურ კომიტეტში. რათა გაერკვიათ ამ ძეგლის მნიშვნელობა. ცეკაში სასწრაფოდ დაიბარეს აკადემიკოსები გიორგი წერეთელი და სერგი ჯიქია, რომლებმაც უმოკლეს ვადაში დააზუსტეს დაეთრის მნიშვნელობა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი უაღრესად ფასეული წყარო იყო საქართველოს ისტორიისათვის. სამ დღეში დამზადდა თბილისის ვილაიეთის დაეთრის ფოტო ფირები. იგი შედგება 1046 გვერდიდაგან.

ამის შემდეგ აკად. სერგი ჯიქიამ აღნიშნული წყაროს ინტენსიური მეცნიერული დამუშავება დაიწყო. ხანგრძლივი, მრავალწლიანი მუშაობის შედეგად მან შეძლო ტექსტის დამუშავება, გაშიფრვა, ამოკითხულია მთლიანად საკუთარი და გეოგრაფიული სახელები. თუმცა მისი თარგმნა მთლიანად ვერ მოასწრო, დაკარგულია ტექსტის რამდენიმე გვერდი.

შემდეგში 1997-98 წლებში, თურქეთში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას შეეძელი სტამბოლის არქივში დაეთრის აღწერა და ტექნიკური მონაცემების დაზუსტება. დაეთრის ორივე ტომი გადავიღე ქსეროასლებზე და ჩამოვიტანე ძეგლის სრული ტექსტი.

თურქეთში ყოფნისას მთელი პირველი ტომი წავიკითხე და გადავწერე. ტექსტში გაუგებარი ადგილების გაშიფრვაში უდიდესი სამსახური გამიწია დიდმა თურქმა ოსმანისტმა და არაბისტმა, პროფ. ჰალილ საპილიოღლუმ. მან ჩვენი თხოვნით დაუზარებლად წაიკითხა მთელი პირველი ტომი და დააზუსტა გაურკვეველი ადგილები.

ამრიგად, ჩვენ ხელთა გვაქვს თბილისის ვილაიეთის დიდი დაეთრის პირველი ტომის სრული გაშიფრული ტექსტი, ქართული თარგმანითა და შენიშვნებით.

ფრიდონ ხალვაშის მოგონებანი აჰმედ მელაშვილზე

ახმედ მელაშვილო!

ახმედ მელაშვილო (დიდო ჩვენებურო)! წამოსვლის წინ, ოთარ გიგინეიშვილმა, შენი სახელი პირველად მისხენა თბილისში. მე მაშინ ხომ ე.წ. უცხოეთელ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის აჭარის განყოფილების ხელმძღვანელობაც, მწერალთა კავშირთან ერთად მებარა. ეს, რა თქმა უნდა, „აკაგებსთან“ შეთანხმებული ორგანიზაცია იყო, მაგრამ ბევრნაირად გამოსადეგ ორგანიზაციისაგან, სახეირო რამეებს ვწურავდით. თითო-ოროლა ჩამოსულ სტუმარ უცხოელ თანამემამულეს, მისი ძველი სამშობლოს ახალად გაცნობა-გაგებაში და მისი ჩვენებურობის გრძნობის გაღვივებაში, ისე ვენმარებოდით ისეთ ახალ-ახალ შეხვედრებს თუ ისტორიული ადგილების მონახულებებს, გულახდილ, ძმურ, ახლობლურ საუბრებს ვახერხებდით, და ყველაფერ ამას ისე ვაკეთებდით, ვითომ, „აკაგებე“ სულაც არ არსებობდა.

ჩემო ახმედ, თურქეთში მომავალ ქართველ მწერალთა იმ ჯგუფში ჩემი მონაწილეობის საჭიროობა, პირველმა, ნოდარ დუმბაძემ გამოთქვა. სწორედ იმ დროს აღმოვჩნდი თბილისში, მაჩაბლის 13-ში მისული, როცა გასამგზავრებელი ჯგუფის კანდიდატები საბუთების სამზადისის ფაციფუცში იყვნენ. დამინახა თუ არა მწერალთა სახლში, ნოდარმა დაიძახა, — ე, ბიჭო კაცი, რომელსაც იქ ბიძაშვილები ეყოლებათ. ბიძაშვილებიც და მამიდაც რომ იქ, მართლაც მყავდა, ყოველთვის ვმალავდი. ერთი სიტყვით, წინადადებას დიდი სიზარულით დავთანხმდი. ჯგუფში, დაახლოებით, იყვნენ: ნოდარ დუმბაძე, იოსებ ნონეშვილი, ბესო ჟღენტბი, არჩილ სულაკაური, კარლო კალაძე, მეუღლეებით, გურამ ბათიაშვილი, გივი გოგიჩაიშვილი (ვინ გამომრჩა?).

მოსკოვის თვითმფრინავი სტამბულში დაეშვა. არ ვიცი, ალბათ, ყველაზე მეტად მე ვღელავდი, ახმედ ჩვენებურო! მიდღემში ნახევარი საქართველოს დამპყრობელი თურქეთი ჩემში გულისმბუგველ განცდას იწვევდა, მაგრამ სტამბულში ჩასვლისთანავე, როგორც კი წარმოვიდგინე, რომ ქართველობის კინაღამ ნახევარი იმ ქვეყანაშია (მათ შორის 150 წლის წინანდელი, აჭარის მოსახლეობის ნახევარზე კარგა მეტი იქ "მუჰაჯირად" გადახვეწილია), თავი თითქოს მშობლიურ გარემოში ვიგრძენი.

მამიდა, (ასიე-ბიბი), თავის ქმართან, აზიზ-ჩაუშთან ერთად, 1929 წელს, სტამბულში გამგზავრებულან გემით, აზიზი, თურქეთის ასკერში მყოფი, 1918 წლის ამბების დროს შემოსულა ბათუმში. იგი გურჯია, გვარად დიასამიძე. როცა თურქმა თავისი ასკერი გაიყვანა და წითელი ჯარი შემოვიდა, აზიზი ბათუმში დარჩენილა. არ გაყვა ასკერს უკან. აქ თავისიანებთან გული გაუთბა და ისეთი შინაურულობა იგრძნო, თურქებს დაემალა, თურქს აღარ გაყვა. ჩაქვში, გასათხოვ მამიდაჩემს ასიეს, შეხვედრია, შეყვარებიათ ერთმანეთი და შეუღლებულან 1929-ში კი, აზიზის მამას, სტამბულიდან მოუწერია, შვილო მე დაგებრდი, ამხელა სახლკარი მაქვს, დაბრუნდი, თვარა ყველაფერი ოხრად დამრჩებაო. ამდგარან და ესენიც, ერთი გოგოშვილით, აქედან გამგზავრებულან.

ხოლო, უფრო ადრე, 1890-იდან წლებთან ახლოს, მამაჩემის უმცროსი ძმა, აჭარიდან მიმავალ უამრავ მუჰაჯირობას თან წაუყვანია და იქ, საღდაც, გამოსახლებული, მრავალშვილიანი, ცხოვრობს. მას, ბიძაჩემს, იქ, ხოჯობა უსწავლია და, საღდაც, იზმით-იზნიქის მხარეში, ჯამეშიც მსახურობსო.

მაგრამ ყველაფერი ეს, ჩემთვის, ზღაპრად გაგონილს უფრო ჰგავდა.

სტამბულის აეროპორტში დაეშვივით. საღამოვდებოდა, მაგრამ მაისის დღე, ჯერ მაინც სასიამოვნოდ ნათელობდა იქაურობაში. ვიღაც ოფიციალურები, შემოგვეგებნენ, მათ შორის, საბჭოთა საკონსულოდან ნოდარ კომახიძე იყო. დამხედურთაგან განცალკევებით, ერთი ფრთხილად ჩვენკენ მოშზირალი, გამრდალი აჩრდილად მდგომი კაცი შევნიშნე. შევხედე, შემხედა. თითქოს დამალულად, კიდევ გამიღიმა. მომეჩვენა, რომ მხოლოდ მე, განსაკუთრებულად, დამადევნა თვალები. გავიწიე მისკენ. თავადაც (კოჭლობით) რამდენიმე ნაბიჯი გადმოვგა.

— შენ ფრიდონ ხალვაში ხარ? — თურქეთელ ქართველთა კილო მეცნო. (იქაურ ჩვენებურებს, მაშინ, თქვენობით მიმართვა მაინცდამაინც წესად არ ჰქონდათ.)

— კი, ფრიდონ ხალვაში ვარ-მეთქი, — გავეპასუხე გაკვირვებით. ხელი ჩამომართვა და, ისე, მოხვევასავეით მომედო.

— მე ახმედ მელაშვილი ვარ... მე შენთან ლაპარაკი მინდა. ახლა — არა... წაყვე ამათ და მე ვიცი პოტელი, ჰაცხანა იყოს და მოგნახვ მეძრე...

იმ ერთ წაშში, ჩვენ, ორივემ, გასაოცრად ერთად, შევნიშნეთ, როგორ ბეჯითად გვაკვირდებოდა რუსი, მოსკოველი "ლიტერატორი" ლიპარტოვი (ვითომ მწერალი), ქართულ ჯგუფს რომ გამოგვაყოლეს. (აშკარად ვგრძნობდით, — ის კაგებეს კაცი იყო). დამხედურთა შორის, ერთი, რუსულისმცოდნე თურქი, (ქართულისმცოდნე არ მოიყვანეს, შეგნებულად) აშკარად ჩანდა, ახმედს აკვირდებოდა. ასე რომ, თურქი და რუსი, მაშინ, გაერთიანდნენ, რათა არ დაეშვათ თურქეთის ქართველებთან საქართველოდან ჩასული ქართველების შეხვედრა. ახმედი მალე, კოჭლობით, იქიდან გაქარდა.

აი, ასე შეგხვდი პირველად, მე შენ, ჩემო ახმედ!

ავტომობილში, რომლითაც, ნელნელა, დიდი ქალაქის შუაგულისკენ მივყავდით, მე სულ იმ ბიჭზე, თვალნადვლიან, პირხმელ, ფიჩხად მდგარ, ახმედ მელაშვილზე ვფიქრობდი. მასხენდებოდა, სხვადასხვა დროს ოთარ გიგინეიშვილის ნათქვამები, — იქ, (თურქეთში) ჩვენ ძალიან საინტერესო ბიჭი გვყავსო, მაგრამ, ახმედიო, — (მიხსნიდა გიგინეიშვილი, რომელიც, თითქოს კაგებეს პოლკოვნიკი ყოფილა) ისე წინდაუხედავად იქცევა, ისე გულუბრყვილოდ, ჯიქურ იცის ხოლმე თავის ამოჩემებული ქართული რაღაც-რაღაც საქმეებით ხლაფორთი, შესამძლოა მალე ჩავარდესო. ოთარმა საიდანღაც მგონი ზედმიწევნით ისიც იცოდა, რომ თურქეთის უშიშროების ორგანოები ახმედ მელაშვილს გაჟღმებით თვალყურს ადევნებდნენ. (აქ მხედველობაში ისიც მისაღებია, რომ მაშინ საქართველო, ფაქტიურად, საბჭოთა კავშირი იყო. ამიტომ ჩვენდამი დამოკიდებულება, ძალიან რთულდებოდა.)

მერე, სასტუმრო „ჯონ კენედში“, როცა დასაძინებლად ვიწვექი, თავში დიდხანს ახმედ მელაშვილის სახე მიტრიალებდა, მინდოდა იგი როგორმე ჩემი მომავალი

ერთერთი ლექსის, იქნებ ღრმა აზრით და მნიშვნელობით მომარაგებული სახე ყოფილიყო. ერთი სიტყვით, რაღაცას ვარჩევდი, ვეძებდი, მაგრამ იმხანად, მას მისთვის შესაფერი ვერაფერი შევთავაზე. უბრალოდ იქ დაწერილ რამდენიმე ლექსში, მის სახელს, მის გმირობისტოლ კაცობას, ღირსი რამ შესამკობელი ვერ მოვუძებნე. (მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, როცა გემ "გიორგი ლეონიძეზე", კაპიტნის თანაშემწე, შორეული ინდოეთის ოკეანეში, სინგაპურისკენ მივცურავდი, ჩემს ვეება კაიუტაში განმარტოებულს და ილუმინატორიდან ხანდახან, მუქმაყად, მოლაპლავე ოკეანის მომზირალს, როცა მხოლოდ მოგონებებით ხარ ცხოვრებასთან, სულისა და გულის მამებლად, მოგონებაში აიშართა ახმედ მელაშვილის ჩვენება. ერთხელ, ვითომ ის შევაჩერე და მასთან საუბარი წამოვიწყე და ეს საუბარი, მაშინ, მომცრო პოემად გამოვიდა, — "მუსა ბურსული".) იქ, ერთგან, აი, ასე მივმართავ ახმედს:

„ვერ გიპასუხე... მაგრამ სულ თვალწინ
გხედავ,- დადიხარ შუბლნაღვლიანი
ერთი უბრალო კოჭლი კაცი ხარ
და სხვას ასწავლი მაინც სიარულს“

მეორე ღღეს, არ ვიცი, მგონი საღამპირად, სასტუმროში მელაშვილი დამეხატა, მითხრა, ახლა შენთან არ შემოვალ, არც დიდხანს გავეჩერდები, — დამინახვენ და საქმეები გონჯა წამივაო. ამაღამ ბურსაში წავალ. მე იქ ვცხოვრობ. როის ჩამოხვალთ თქვენ ბურსაში, ვიცი. საღ გაჩერდებით, ეგეც ვიციო. მე და ჩემი იქაური ჩვენებურები დაგხედებითო.

აი, იმ საღამოს, როგორღაც, მოვძებნე მამიდაჩემ ასიეს, ძველი მისამართი, მამაჩემისგან ოდესღაც გადმოწერილი.

1935 წლის შემდეგ მისგან წერილი აღარ მიგვიღია. გადაიკეტა. ახლა იგი ოთხმოცდაათზე მეტისაა. შეიძლება ცოცხალია. მოდი, აქა ვარ და რამენაირად "ხებერს" (ამბავს) მივცემ. მაღლს ვიზამ, ძმისშვილი იქნებ შევხედე-მეთქი. ავიღე ღია ბარათი, (ღია ბარათის მიწერა ვამჯობინე, თანაც თურქულად, თორემ საიდუმლო პოლიცია ქართულზე იეჭვიანებდა, სანამ რას წერსო გაარკვევდა, ბარათს დაავიანდებოდა) და თურქულადვე, რამდენიმე სიტყვით ავეუხსენი ვინ ვარ, საღ ვარ, საღ ვიქნები. პატარა ქალაქ იზნიქთან ცხოვრობდა. ბურსას გზაზე. შენი ძმისშვილი ვარ, ესა და ესა-მეთქი. ამ და ამ ღღეს, ბურსას სასტუმროში ვიქნებით, — ვწერდი. მეტი არაფერი. გავიტანე ეს ღია ბარათი და ჩავეუშეი საფოსტო ყუთში. მერე, მალე, ეს ამბავი, სხვადასხვა შეხვედრებმა და იმის იმედის ნაკლებობამ, რომ მამიდაჩემი მართლა მიიღებდა, ან მართლა ცოცხალი იქნებოდა, ბარათის მიწერის ამბავი სულ გადამიქართულდა. (ამ სიტყვით გამოხატავენ იქაური ჩვენები გადავიწყებას.)

მეორე დღით „ჯონ კენედის“ წინ ვიღაც სოლიდური პიროვნება გამოჩნდა. მორიგეს ხმაბაღლა შეეკითხა, საქართველოდან სტუმრებში ერთი ხალვაში ყოფილა, საღ, რომელ ოთახშიაო. მაშინვე გავემართე მისკენ. მე ვარ ხალვაში-მეთქი. ქობულეთელი ხალვაში ხარო? — მკითხა. ასლან ხარაზს თუ იცნობთო.

ასლან ხარაზი ჩემი შვილია. დიდი ქარხნის დირექტორი ყოფილა...

ვფიქრობ: ასლან ხარაზი? ძალიან ნაცნობი სახელია. ჰო, ასლანი ხომ ჩემი მეზობელია. ერთ სახლში ვცხოვრობთ. დირექტორია, საყოფაცხოვრებო მანქანების ქარხნისა.

არ ვიცი, მამამისი თუ გაქტეული იყი. ოცდაჩვიდმეტში მიჭერდნენ და გამოვიქეციო. ახლა, თუ დამეხმარებით, მინდა ჩავიდე ბათუმში, შვილი, ახლობლები ვნახო. დახმარებას შევპირდი.

მკითხა, ამ მწერლებში ჩემი უნივერსიტეტელი თანაკურსელი ბესო ჟღენტი ხომარააო. თურმე ბატონი ბესო ფინანსურ-ეკონომიკურზე სწავლობდა. მათი შეხვედრა ცრემლიან-სიცილიანი გამოდგა.

დაბრუნებულმა, სტამბოლელ ხარაზს საბუთები გავუკეთე, მოწვევა მოუხერხე. და, აი, ერთხელ, ბათუმში, მითხრეს ასლან ხარაზს მამა ჩამოუვიდა სტამბულიდან, მაგრამ ასლანის დედამ შინ არ შეუშვაო. ოცდათექვსმეტში, ასლანზე ფეხმძიმე ქალი მიატოვა და საზღვარგარეთ გაიქცა. ახლა ეს არ აპატივა ასლანის დედამ. არ წასულიყო – დახვრეტდნენ. აი, ასე გაიკოჭა ამბავი. დადის დილ-დილობით ასლანის მამა თურმე საბავშვო ბაღში, ასლანის შვილების სანახავად. მეტი ვერავის ვერ ხელება. შევწუხდი, ვკითხე ასლანს. რა გქნაო. მე აკვანში დამტოვა თურმე, ჩეკას გაასწრო, მარა დედაჩემი ისე ნაწყენია მამაჩემზე, მეუბნება, თუ შეხვდები, დელობას ჰარამს გიზამო. რა გქნა, მითხარიო, – შემჩივლა ასლანმა. მემედი (მისი მამის სახელია) თავის ძმასთან, იუსუფთან, იდგა. ბევრი ვეხვეწე და ასლანი დავითანხმე, საიდუმლოდ, მარტო თავად წამყოლოდა იუსუფთან, რომ უნახავ მამას, ერთხელ მაინც ჩვენებოდა. ავღივართ იუსუფის სახლის კიბეზე და, უცებ, მაღლიდან ქალების კვილი მოისმა. შევალეთ კარი და რას ვხედავთ, – ასლანის მამა, მემედი, შვილის სანახავად ორმოცი წლის შემდეგ სტამბულიდან ჩამოსული, გულის შეტევით, აგერ, ამ წუთას, გათავებულა. მივიდა ასლანი, დაემხო მშობელს, ბევრი ეხვია. მამა, მამაო, იკვნესა, მაგრამ მამამისის სხეული უკვე თანდათან ცივდებოდა.

მეორე ამბავი, ძმებთან კორტანიძეებთან შეხვედრაზეა. ტელეფონის ნომერი მქონდა. ხუთიდან ერთი ძმა, ჰაიდარი, მანამდე ბათუმში გავიცანი, უფროსი, ხასანი, მოვიდა, ჰოტელში გვნახა. მთელი ჯგუფი ოჯახში მიგვიწვია. დედ-მამა ხუთი ძმისა ცოცხლები იყვნენ. ასე, – მთელი ჩვენი მწერლობა ოჯახში ეწვია. ძმები, სიხარულით გადარეულები, ყველაფერს აკეთებდნენ, სტუმართათვის რომ ესიამოვნებინათ, კაი ვახშამი გამართეს. ბატონო ბესარიონ, – მივმართე ჟღენტს, – მოდი, ამ სტამბოლურ ჩვენებურის სახლში ქართული "ერთი ლექსის" საღამო გავმართოდ-მეთქი. აიტაცა ბესომ ეს ჩემი აზრი და შესანიშნავი, ჩვეული ორატორული ოსტატობით მორთული სიტყვის შემდეგ, პირველს მე, როგორც მუსლიმან ქართველთა შვილს, შემომთავაზა წამეკითხა ერთი ლექსი. გამეხარდა, უცებ, ვიფიქრე, თბილისზე დაწერილს ვეტყვი-მეთქი. არც შევმცდარვარ.

აი, ასე მივმართე თქვენი სახელით, საუკუნობით დედა-სამშობლოს მოწყვეტილ ქართველთა სახელით, ერთიანი საქართველოს სატახტოს-მეთქი. დიდებულად მოისმინეს ნონეშვილის გამოსვლა, კარლო კალაძისა, ნოდარ დუმბაძისა, არჩილ სულაკაურისა.

ოვაციები, ტირილი ხევენა, აი, რაც ავსებდა ზენგინ-კორტანიძეთა სახლს. ღამით გაგვიყვანეს და მომავალი თეატრისთვის გათხრილი საძირკველი დაგვალოცინეს. მეორე წელს, სეზონის გასასხნელად ახალაგებულ თეატრის დარბაზში, სუხიშვილები მიიწვიეს, მაგრამ უნგრეთ-ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების შეჭრის გამო, სტუდენტებმა კონცერტი ჩაშალეს.

* * *

ბოსფორზე, მაშინ, ხიდი ჯერ არ იყო. ჩვენი ავტობუსი აზიურ ნაპირზე ბორანიტ გადაიტანეს და ბურსასკენ გავემართეთ.

* * *

ბურსაში ჩასულებს, სასტუმროსთან, იქაური ქართველები დაგვხვდნენ. დარჩეული ბიჭები. ბევრი მათგანო გერმანიაში სამუშაოდ ნამყოფი იყო და ამიტომ უფრო გავეროპელებულები ჩანდნენ. მაგრამ მაინც უნდა შევნიშნო, თურქეთელი ჩვენებურები, (გლეხები, მუშები თუ ინტელიგენტ-მოსამსახურეები) საბჭოთა ჩვენებურებს, უბრალოდ, შინაგანი თავისუფლებით, თითქოს შესამჩნევად ჯობნიდნენ. ახლა ერთ საიდუმლოსაც გვაგამხელ: მთელი ის გრო ხალხისა, ვინც ჩვენ, ბურსაში, ასეთი მონატრებული ინტერესით, ახლობლური გულითადობით, გვეხვეოდა, გვეაღერებოდა, ზომ ყველანი აჭარიდან ოდესღაც მუჰაჯირად გახიზნებულები იყვნენ, მაგრამ ბურსაში, ისინი "აჭარლებად" კი არა, "გურჯისტანიდან" მოსულები ვართო. ჩვენ ქართველები ვართო. ჩვენ, აქაურებს ცხოვრება ვასტავლეთო (თურქებზე). ჩვენ სიმინდი და ხეხილის დარგვა ვასტავლეთო. სტუმარ-მასპინძლობა ვასტავლეთო. სიმღერა კი ვერ ვასტავლეთო, — ეგენი მაინც მათებურა უკაკანურებენო.

მუსლიმანობა სახელმწიფოობაზეც მაგარია. სახელმწიფოობა გარედანაა, გარეთაა. რწმენა ალლაჰისა (ღმერთს არაბულად ალაჰს ეძახიან) — შიგნითაა იმისი ამოგლეჯა, შეცვლა, გადასხვაფერება. ანუ ქართულის, მართლწმინის, დაბრუნება? ჯერ, — შენი ენით შენი წარსულ-მომავლით, ბაბა-ნენეს სიტყვასთან ერთად აღვდგეთ, მერე ვილაპარაკოთ დანარჩენზე. მომეწონა ჩვენებურთა გადარჩენილი ჩვენებურობა. ვებდნიერობდი, რომ ჩვენებურები ასე კარგები, შუბლ და გულგაშლილები ჩანდნენ. ნოდარ დუმბაძე ხშირად მომიბრუნდებოდა, — ფრიდომა, შენ რომ არ წამოგვეყოლოდი, ამათ ვერ ვნახავდითო.

თურქეთელ ქართველებთან შეხვედრებმა, ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. თითქოს მომავალი საქართველო დაეინახე. რალაცა დიდი იმედები, დიდი ფიქრები ჩამისახლდა გულში და სულში.

ღიახ, დიდებული რამაა — შენიანისადმი მშობლიურობის და სიყვარულის გრძნობა! მე მგონი, ამ სიყვარულმა მოიყვანა აქამდე ადამიანობა. მაგრამ, ამასთან ერთად, სწორედ ეს "საკუთარი ხალხის სიყვარული" ზოგჯერ, სხვათა სიბუღვილამდეც მისულა. რა ვთქვა ამაზე? მგონი ჯობს ასე შევჯამდე. საკუთარის სიყვარული თუ გინდა შეგერგოს, იმის დაფასებაც შეძელი, როცა სხვას თავისი უყვარს. საშინლად არ უყვარს თურქს ქართული. კიდევ ერთხელ ამას, ტკივილით ვიმეორებ.

იქ, დასაწყისში, ყმაწვილურ გახსენებაში ხომ ვთქვი იმაზე, რაც აჭარელ ბავშვებს მუსლიმანობის გამო გეჭირდა. სიტყვა — ქართველი, გაქართველება, — ასე წარმოთქმაც კი ცოდვად აღიქმებოდა. იქ, თურქეთში კი, ასე აღარ ხდება იმიტომ, რომ ქართველები თურქებზე მაგარი მუსლიმები არიან და იქაურ ისლამურ იერარქიაშიც მთავარი ადგილები უკავიათ. მაგრამ მათ შორის, ბურსელ ქართველთა შორის, ყველაზე აქტიურობდა ახმედ მელაშვილი. მე ვგრძნობდი, რა თქმა უნდა, რომ ამდენი ჩვენებურის ერთად შეკრების მოთავეც ახმედი იქნებოდა.

ის ახლა შინ იყო და შინაურულადაც იქცეოდა. ამასთან ერთად, ჩანდა, უფრო თხილდებოდა საქართველოდან მოსულებთან ზედმეტ სიახლოვეს. იცოდა, — მას და ჩვენ, ყველას, თურქის ფხიზელი თვალი გვიჭვრეტდა.

და, მაინც, ახმედი ბურსაში, უფრო გახსნილი, უფრო გამჟღავნებული და გაბედული მომეჩვენა. მთელი იქ მყოფი ჩვენებურობა მას ემორჩილებოდა, მას ეკითხებოდა, მას უსმენდა. ამას ყველა სტუმარი იქნებ ვერ შენიშნავდა, ამას მე უფრო ვხედავდი.

ბურსელ-ინეგოლელი ჩვენებურები არ მალავენ თურქების მიმართ თავიანთ "პაწაი" დამცინავ დამოკიდებულებას.

სალამო ახლოვდებოდა. ჩვენი ბარგი სასტუმროში შეზიდეს თუ არა, დამხვდურები შემოგვესიენ, გეთხოვდნენ, — აგერ, ახლო, ქართული სოფელია და გაჩვენოთ გვინდაო. განახებთ — ჩვენს სოფელში სულ ჩვენებურები ვართ, არცერთი კუდიანი იქ არააო. (თურქს კუდიანს ეძახიან არა ეშმაკურობის, არამედ იმისათვის, რომ იმათ ჩაქურას მართლაც კუდივით გრძელი ჰქონდა უკანა ნაჭუჭნი)

ერთი ამერიკული მანქანა გააჩერეს. ფართო იყო ძალიან. წინ, შოფერთან, მე დამსვეს, გვერდით ბესო ჟღენტი მომიჯდა (სამნი მოეთავსდით). უკან ნოდარ ღუმბაძეა მეუღლით. ვატყობ, მე მეწინავე მანქანაში ვუნდივარ. იქ, უკან, ახმედ მელაშვილი ფუსფუსებდა, ვიცოდი, მას ჩემთან ყოფნა ჭირდებოდა, მაგრამ რადგან ასე დავლაგდით, მოვიდა, შეგვხედა, თავი კმაყოფილმა დამიკრა და, მე უკან გამოგყვებით, მანიშნა.

ჩვენი მანქანა დაიძრა თუ არა, შუქნიშანი წითლად აინთო იმიტომ მოძრაობა წუთით შედგა. წინ ვიცქირები. ქუჩაზე მარცხნიდან მარჯვნივ და პირიქითაც ფეხით მოსიარულენი გადადიან, და, ჩემდა გასაოცრად, იმდენ მოსიარულეებში, ერთი მაღალი მხრებში მოხრილი, ლეჩაქმოსვეული, ხნიერი ქალი დავინახე. ჩემი თვალი იმ მოხუც ქალს დაედევნა. ის რაღაც ძალიან ნაცნობი მიხვრა-მოხვრით მიდიოდა. რაღაცა მეცნო, რაღაცა მეახლოვა. მამაჩემმა იცოდა ასე კორწივლით სიარული, როცა მხარზე სიძინდიან კოღმემოდგმული, წისქვილისაკენ წავიდოდა. ეს ყველაფერი ხომ ერთ წუთში ხდება, მაგონდება. სტამბულის სასტუმროდან რომ მამიდას ღია ბარათი მივწერე. ვაიმე! — ქალი ჩემი მამიდა, ასიე-ბიბი- ხომარაა?!

წამოვიწიე. შოფერს ვანიშნე, გადამიშვი-მეთქი. ბატონ ბესოს მუხლებზე გადავევლე და გარეთ გავიჭერი. გამიშვით, ახლობელია, არ დამეკარგოს-მეთქი, — ვიძახო.

ტროტუარზე ვდგევარ, ვხედავ ჩემი ლეჩაქიანი, მოაბიჯებს აქეთ მომავალთა შორის. შუაგულ ტროტუარზე გავიჯგიმე, ზუსტად მომავალ მოხუც ქალს დავემიზნე, გრძელი ყავარჯენი უჭირავს, წინ გაიხედავს ხანდახან, — ალბათ სასტუმროსკენ იყურება? გულში და მთელ სხეულში, ჟრუანტელთან ერთად, ბობოქრობს ტალღებადქცეული სიტყვები, — მამიდაჩემი, ასიე-ბიბი, ასიე-ბიბი. ცოცხალი ბიბი, ცოცხალი ბიბი!

ვდგევარ როგორც მდინარეში, თითქოს წყალწადებულს უნდა მივეშველო, — დავეხდე, ნაპირზე გავიყვანო. და, აი, მიახლოვდება. როცა პირდაპირ მომეყუდა, შედგა, შემხედა, უცნაური დაღლილ-დაკარგული თვალები მომავლო. გამოხედვაშიც რაღაცა მამაჩემისა ამოვიკითხე. გულმკერდით მომედო და ჯოხს ხელი უშვა, — შენ ხარ ჭოვ?! — მკითხა. (ესე იგი, ის ბარათი რომ მომწერა, ჩემი ძმიშვილი, ის შენ ხარო) ჰო, მე ვარ-მეთქი, სწრაფად ჩავუფურჩულე. ხელები შემომიჭირა და ატირდა. ლოყა და შუბლი, მგონი, ოფლით (იქნებ ცრემლითაც) მოსველებოდა.

იქვე იდგნენ ნოდარ ღუმბაძე, იოსებ ნონეშვილი, ბესო. მაშინ დავინახე პირველად, — ნოდარ ღუმბაძის თვალში ცრემლი. მელაშვილიც იქ მოსულ იყო და, ისიც დაბნეული შემოგვცქეროდა. მას, ჯერ კიდევ, მგონი სტამბულში გავუშხილე, მამიდას ამბავი.

მე, ასიე-ბიბი და ახმედი დაერჩით. სხვები "ქართულ სოფელში", მაინც გაემგზავრნენ. ახმედი მუეზნება: ახლა უნახავ, მონატრებულ შენ ბიბის გულიანად დიელაპარაკები ხომ? მომიცაით აქა, არაბას (მანქანას) დეკაკავებ და ჩემთან წავიყვან. ჰანა (სად უნდა) დააჯინო ჰოტელში ასე ხნიერი ქალიო. შინისკენ მიმავალნი, სადღაც, თავის ნაცნობ ფოტოგრაფთან შეგვაჩერა. სურათი გადავიღეთ.

ის სურათი ლამაზი და სევდიანი გამოვიდა. შემდეგ, გამთენიას მამიდას და ახმედ მელაშვილის ოჯახს რომ დავემშვიდობეთ...(თუმცა ამაზე, — მერე).

მე და ახმედი

თქვენ არ იცნობდით,
ის სხვა იყო, არ გავდა ყველას, —
სადაც აკრძალეს საქართველო,
იქ იქართველა.

ეტყობა — ძალიან კმაყოფილია, მარტო რომ მომიხელთა, ეტყობა, — მცირე დროში ბევრის მოსწრებას აპირებს, ჩქარობს, ღელავს. ("მოსწრებას" ანუ — თქმას.) ისე ეზაგუნება მისი გული, იგი ხმა თითქმის მეც გავიგონე. ბურსაში, ერთ განცალკევებულ მის ოთახში ვართ. კედლებზე — საქართველოს რუკა, (რუკაზე, ალაგ-ალაგ, სამხრეთისკენ, მრავალი შემოხაზულებია ფანქრით), თამარმფის, რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ნოე ჟორდანიას და მისი მთავრობის წევრების, აგრეთვე — ფიროსმანის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას სურათები. აქეთ, შუშებიან კარადაში, კაიგაყოლა წიგნები ჩანს. ზოგი, სქელი, ყუაზე წარწერით იცნობა რა წიგნია. იქაც, — "ვეფხისტყაოსანი", რა თქმა უნდა, ქართულად, ილიას ტომები, "საქართველოს ისტორია" (არ ვიცი ვისია), ნოდარ ღუმბაძის, ყაზბეგის, სხვა მრავალი ქართული წიგნი. აქვე ბევრი თურქულიცაა.

მეუღლე, ერენი (იგი ძველი ჯინჯარაძეა), ვაჟი იბერია, გოგო თამარი და მამიდაჩემი, იქითა ოთახში საუბრობენ. ცოტა ხნით ისინი ახმედმა იქ დატოვა. არადა, ასიე-ბიბის (მამიდას) ჩემთან ყოფნისთვის სული ელევა. რა ქნას! კაცებმა უნდა რაცხაებზე პაწახან დევლაპარიკოთნა და ამიზა ყაირათინა ქნას.

პატარა მაგიდა სამუშაოდ გაუწყვია. იქით-აქეთ დაზვიუნულა წიგნები და ხელნაწერებიანი ყდები.

ახმედი — ახლა მე პირველ სათქმელებს გეტყვი, თავიდან, მემრე: თუ მოვასწარიო, რაცხაები კიღონა გითხრა.

მე — კი ახმედ ჩემო, ბედნიერი ვარ შენთან რომ ვარ, ძალიან გთხოვ არ მომერიდო, არაფრის შეგემინდეს. შენი ვარ, ეს იცოდე...

(წამოიწვეს, ლოყას ლოყაზე მომადებს)

ახმედი — აქ, მე ბევრი მტერი გიმიჩნდა... ამ სახლს ვკირაობ, ჩემი არ მაქ ჯერ. ისე, არქიტექტი ვარ.

მე — წარმოშობით?

ახმედი — მე? ჰიდავრი ვარ? მე იმერხევიდან ვარ. ქართული კითხვა-წერა ბაბამ მასტავლა. იცოდა, იმან, ძველიდან... შენ ჩემი ხარ, ვიცი ეს. ბევრი ამბავები მინდა გითხრა... ჯერ, ჰო, — ჯერ, რა მინდა. წიგნი მაქ დაწერილი. ეფეიჯა მოზილილა წიგნი, — საქართველოზეა, "გურჯისტანი" ჰქვია. აქაურებისთვის მინდა, შით ქართულაც იქნება ტექსტები, მარა, ისე ამბავის მოყოლაი თურქულაა. რა ვქნა აბა, აქავრმა ქართველმა რომ ჩემსავეთ წაკითხვა ჩვენებურისა არ იცის.

მე — ძალიან სწორად გიქნია, — თურქულად! მთავრობა გამოცემის ნებას მოგცემს? (მამინ, მე, საბჭოურ წესრიგს მიჩვეულს, ვერ წარმომედგინა თუ ავტორს, თავისით, გამომცემელთან შეეძლო წიგნის გამოშვება)

ახმედი — ნებას კი, მარა თუ მემრე წიგნში რამე ნახა მისთვის მოუწონარი, აკრძალავს. ამიტომ ფრთხილადნა ვიყო. მარა, ჯერ ერთი სხვა რამენა გაგანდო. გეინდა ჟურნალის გამოშვება. ორ თვეში ერთხელ, ან სამ თვეში. რა ვიცი, როგორ მვაფერებთ. იმამიც ქართული და თურქული ტექსტები ერთმანებს შეენაცვლება. მარა მინდა ამ ჟურნალს "ქართველები" დავარქვათ, ან — "საქართველო". შენ რას გვირჩევ.

მე — არ მგონია, ჩემო ახმედ, ასეთი სათაურით გაუშვან. ქართველები, საქართველო, — ამ სახელებს თურქი, რა ვიცი, ალბათ, ვერ შეეგუება; აგიკრძალავს.

ახმედი ჩაფიქრდება. მალე, შეწუხებული ისევ შემოიხედავს და...

ახმედი — კარქი, რაცხას მოუვნახავთ სხვა სახელს. სწორ ამბობ, — სიტყვა საქართველო ამათ ძულან. ისე დაბეჭდვით სტოკჰოლმში იქნება დაბეჭდილი. იქ ერთი ჩვენებური გვყავს, კი ბიჯია, "ჯუმჰურიეთის" წავზავნილია სკანდინავ-ქვეყნებში. შანვერი ქვია, ქართულათ, — თევზაძეა.

მე — აი, შენ მაგ შანვერს ჩვენებური უწოდე, არა? აქაც, ბევრგან ხშირად მესმის, ერთმანეთს აქაური ქართველები, ჩვენებურს ეძახით. იქნება მაგ ჟურნალს "ჩვენებური" დაარქვათ?.. მაგ სიტყვა ხომ იგივე ჩვენინანს, ქართველს, ნიშნავას. რა ვიცი, იფიქრეთ. უწყინარი და მისაღები იქნება ხელისუფალისთვის ასე წოდება.

(ცხრა წლის შემდეგ 1977-ში, სწორედ სტოკჰოლმში, გამოიცა პირველი ნომერი, "ჩვენებური". ჟურნალი თურქეთში ჩაიტანეს და ჩვენებურებს ჩამოურიგეს, იგი დღესაც გამოდის, სტამბულში, და მისი რედაქტორ-გამომცემელი ოსმან მერჯანი, ოთარ იმედაშვილი, არის). ამ ჟურნალის სახელის დაბადების ისტორია ასე წვრილად, არასდროს არსად დამიწერია. ჟურნალი ახმედ მელაშვილის მიერ დაარსებულია. თავადაა მისი სულისჩამდგმელი. ეს კარგად იციან თურქეთელმა ჩვენებურებმა, რაც კიდევ უფრო ალამაზებს და აძალღებს ჟურნალის როლს და ავტორიტეტს.

ახმედი – (მაგიდაზე დებს სქლად შეკონილ საქალაღდეს. გარედან "გურჯისტან" აწერია თურქულად. სათაურქვეშ, რომელიღაც ჟურნალიდან ამოჭრილი წმინდა გიორგის ცნობილი სურათია, ცხენზე ამხედრებული გრძელი შუბით გველეშაპს რომ ჰკლავს.) – ეს წიგნი მოვამზადე. მალე მინდა დაიბეჭდოს. მოლაპარაკებული ვარ. ფარას ერთი ჩვენებური გადაიხდისო. ნახე, გადამითვალერე. ეგება რამე ჩაუმატო.

მე – ეს დიდებულია! გილოცავ და ვლოცავ ამ მაღლიან წიგნს, ჩემო ახმედ! (ეფურცლავ. მთელი საქართველო შიგაა, სურათებით, ლექსებით, თარგმნილით, დედნებით. ისევ ყდაზე დავცქერი.) ერთი რამე ვთქვათ მე და შენ, ჩემო ახმედ, ეს სურათი, გარედან რომაა, წმიდა გიორგია, ხომ იცი? ეს ქრისტიანულია. შეიძლება ამის გამო აქ უსიამოვნება შეგემთხვას. მოდი ეს შეეცვალოთ. მუსლიმანურ ქვეყანაში ხარ და აქ დაბეჭდილ წიგნში, აქაური ავტორის მიერ აშკარად ქრისტიანულის... ერთი სიტყვით, მიმიხვდები ალბათ, – წიგნს რამე სიგონჯე არ გადაეღობოს. აი ამას ვჩივი.

იმშუშნება, ფიქრობს, ეტყობა ჭკუაში დაუჯდა შენიშვნა. დგება. თაროსთან უამრავი სურათებია. ეს სურათები სხვადასხვა ქართული გამოცემებიდან მოუგროვებია. ერთგან, "ქართლის დედის" გამოსახულებამ გაიღვავა, თბილისის თავზე რომაა, იმ ქანდაკებისა.

მე – ჩემო ახმედ, იქნებ, ეს სურათი მოვათავსოთ ყდაზე?

მგონი მეთანხმება, იმიტომ რომ სურათი ცალკე გადაღო, დანარჩენი ამონაჭრებიც გამომიწოდა. სხვას ხომარაფერს შემირჩევო. თუმცა ჩანს, თავადაც იგი მოეწონა, რაზეც წედან ვუთხარი.

* * *

ახმედი – ახლა, იმათ მოსვლამდე ერთი საქმენა განდო. ეს საქმე, ჩემთვის, სიკვდილ-სიცოცხლედ ფასობს. ესეიგი, ეს საქმე ან ერთს ნიშნავს, ან – მეორეს. მიგახტინე ნეტაი?

მე – ძალიან კარგად მიმახვლინე, ახმედ! (ის ღელავს. ძალიან განიცდის. ყოყმანობს გამომხილოს თუ არა, რაღაც მძიმე, იშვიათი, ხიფათიანი რომ სურს მითხრას, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია, გაამხილოს თუ არა).

ახმედ, ჩემო, ვიცი – გაწუხებს რაცხა, გიჭირს, ან გტანჯავს, ხომ? არ მომერიდო, ამიხსენი. მე და შენ ძმები ვართ. ჩათვალე – ერთი დედ-მამის

შვილები, შევფიცოთ ერთმანეთს ეს ძმობა ჩვენი, მოდი, ორივე რელიგია მოვიშველიოთ ჩვენი ძმობის მლოცველად. ჩვენ, მე და შენ, ხომ, ისტორიულად, ქრისტეს მფარველობით გადარჩენილი საქართველოს შვილები, ბოლო სამი-ოთხი ასეული წელია, მუჰამედი დაგვეპატრონა. ისლამმა ცხოვრების ყადრი გვასწავლა, მაგრამ სხვა ცხოვრებისა. სამშობლო-საქართველოს სიყვარული კინალამ ცოდვად გვითვალა. მეც ის მტკივა, ჩემო ახმელ, რაც შენ. მართალია მე ქართულ საქართველოში ვარ, შენ – თურქულ საქართველოში ხარ, მაგრამ ორივე ერთნაირი უბედურებით დაბნეულები, ნელ-ნელა ვფხიზლდებით, შინ ვბრუნდებით.

მე მარტო ჩემს თავს ვერ ჩავთვლი დაბრუნებულად, მთელი ჩემი კუთხის ერთან უნდა დავბრუნდე. კუთხე კი, ჯერ, ნამდვილი, სულიერი, დაბრუნებისთვის მზად ვერაა.

ახმელი – (ღრმა ფიქრის მერე) მუსლიმანი ქართველები და ქრისტიანი ქართველები, იქ, საქართველოში, ერთმანეთთან კარგათ ვერ ხართ?

მე – როგორ თუ ვერ ვართ. ძალიან დიდებულად ვართ!

ახმელი – აბა ორი ჰუქუმუთი (მთავრობა) რათ გინდებიან, – ერთი თბილისში, ერთიც – ბათუმში?!

(ამ შეკითხვამ ჩამაჩუმა.) ადგა, რომელიღაც ზანდუკი გააღო, რაღაცა ჭინჭებში შეხვეულ-გაკოჭილი გამოიღო, ილღიაში ამოიღო, მოვიდა, ისევ თავის ალაგას მოეწყო, თქვა:

– რაცხას ახლა გეტყვი, ეს საუჩუქაროა. ჩვენ შორის იყოსნა!

მე – (მიკვირს, ვიძაბები) ასეც იქნება!

ახმელი – ანკარაში, ერთ საჰუქუმათო (სამთავრობო) არქივში, მეგობარი მყავს. თურქია, კაი კაცი. ერთად ვისტაყლეთ უნივერსიტეტში. იქ მუშაობს და, ძველ საქმეებში, საქართველოზე ოსმალურ ბევრ რაცხაებს მიაგნო. სულ იქ, გურჯისტანის ოცდაათი ტომი მასალა ყოფილა, მხოლოდ სამიდან მიკროფილში ამუღია. მანახვა და, ბოლოს, სულ მომცა ის მიკროფილში. მეჩვიდმეტე საუკუნის გურჯისტანში ოსმალთა ბატონობის წლების დავთრებია, საქართველოს მაშინდელი ყოფაცხოვრება ჩანს. რა დამიჯდა ეს, მე ვიცი, მარა მინდა, რაცხაფრათ, თბილისში გვეტანო. მე იქ ამირან ცამციშვილს ვიცნობ, ისტორიის მეცნიერია. ე, იმას რომ ვახვედრო...

მე – ჩემო ახმელ! აი, მე აგერ ვარ. წავიდებ.

ახმელი – შენ?! როგორ გაბედავ ამის წაღებას? აქ რომ გეიგონ, მე მაშინვე გამანადგურებენ. შენაც ცუდი ღლე დაგადგება. დაგიჭერენ და... რა ვიცი!

(ვფიქრობ: ერთხელ დამაკისრა ბეღმა ასეთი რამე. გავერილო? ქვეშ გამოვიდე? არა! რაც მომივა მომივა. რა ღირებულებისაა, რაც იმ ფირზე? თუმცა რადგან იგი ახმელს ასეთი სიფაქიზით და გულისძგერით ამოღენა განძად დაუგულებია, – ვენდობი. ეტყობა ძვირფასია და საჭირო საქართველოსთვის. რაგინდ რა მომივიდეს, ახმელს მაინც არ გავწირავ. მის სახელს არ ვახსენებ. თუ მე გამომიჭირეს აქა... საბჭოთა კავშირი თავის მოქალაქეს... ვნახოთ.

მე – ნუ გეშინია. მოვახერხებ ისე, რომ სალსალამათ გავიტანო. გჯეროდეს, ახმელ, ჩვენებურო, – თავს გავწირავ. შენ კი – არ გაგწირავ.

ახმელი — (იღებს გაზეთებში გამოხვეულ და საკერავი ძაფით გამოკოჭილ გორგვალს. იმხელაა, პლამის შიგა ჯიბეში ჩაუტევა. ჩავტიე კიდეც. მაისია, ოდნავ გრილა. პლამს მხარზე მოგდებულს ისედაც ვატარებ. ამას იქით კი სულაც აღარ მოვიცილებ. ჩავტენე ჯიბეში ძლივს. ახმელი „თობდს“ (საკეტი ქინძისთავი) მაძლევს, რითაც ჯიბისპირს ვამაგრებ.

იგი, დუმილით შემომხედავს და კაიხანს ისე მაკვირდება, თითქოს ჩემში რაღაც ახალი, მოულოდნელი აღმოაჩინა. მისი დარღინი სახე მსუბუქმა გაღიმებამ გაანათა. ეს გაღიმება, მივხვდი, მე ჯილდოდ დავიმსახურე. არ ელოდა, რომ მე, საბჭოთა ქართული მწერლობის კაცი, „ცივი ომის“ საშინელ უნდობლობისა და ურთიერთეჭვიანობის ჟამს, ასე უბრალოდ, ასე ჩვენებურად, ვიკისრებდი იმ საშიში, თითქმის მოპარული განძის, სამშობლოში წამოღებას.

იმ წუთებში, ახმელს რომ შევხვდავდი, საკუთარ თავს ვუმხელდი, — მთელი მუსლიმური საქართველოს ტკივილი ამ ერთ კაცშია თავმოყრილი.

ჩვენ, საქართველოს ქართველები, რაგინდ ვიპატრიოტოთ, მელაშვილის გვერდით ველარაფრად გამოვჩნდებით.

უფრო გულახდილი ვიყო? — იქ, ბურსაში, იმ ერთი მღელვარე საათის განმავლობაში, ახმელ მელაშვილისაგან საქართველოს სიყვარული უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე მანამდე, — შინ.

ოთახის კარი გაიღო. იბერია და თამარი მიაცვივდნენ მამას. მე კი მამიდამ, — ასიე-ბიბიმ, — კვლავ ხელი შემომხვია და, — ეი, ჭოვ, გეყვე ამდენი საუჩუძარო ლაპარაკი. ახლა ერთი მითხარი, რაფრათაა მემლექეთი, ყველაფერი მითხარი... — გვერდით მიუჯექი. ამოთქვა და ამოთქვა ტიროდა, მაგრამ თვალზე კურცხალი გამრობოდა, გამოგვაღულიყო თვალის ღუბეები. ძმები, რძლები, იმათი შვილები, ბათუმი, სოფლები, და, ბოლოს, თავის შშობლების (ჩემი ბებია-ბაბუის) საფლავებიც მოიკითხა.

მეხვეწა, როგორმე რესულას (ძმას) ისე მოუწყე საქმე, ერთხელ აქ მოვდესო, მნახოსო, აჰადა, ოთხმოცდაათი გვერბინე. ახლა რანა ვითხრა იცი? — ეს ძალვან დეიხსოვ: რაცხამფრათ წიმიყვაით, აქ არ დამტოიოთ. მოკვდები და იქ, ბაბა-ნენეს მიწაში ჩამფალით. აჰა, ამას გეხვეწები მარტვაი. სხვა არაფერს...

მამიდას სახეზე, ნაოჭთა ღარებში თხლად ჩრდილები ჩაწოლოდა. ბოლო წუთებში ის მხოლოდ მიცქეროდა და მისმენდა. თავად კი ხმას აღარ იღებდა. მას ჩემი ხმა უნდოდა. მისმენდა ისე, გეგონებოდა დიდი ხნის მწყურვალი ჩემი მოსმენით წყურვილს იკლავდა.

26.11.07.

თბილისის ხელნაწერების ინსტიტუტში, თურქული ძველი ხელნაწერების გამოფენაზე, სადაც გამომცემლობა „ინტელექტის“ ღირექტორმა, ბ-ნმა კახმეგ კულავამ, წამიყვანა, გამოჩენილმა თურქოლოგმა, პროფესორმა ნოდარ შენგელიამ მომახარა საოცარი რამ! სერგი ჯიქიამ ბურსიდან თქვენს მიერ ჩამოტანილი „გორგვალა“ მე გადმომცა. თარგმანზე მუშაობა დაეასრულე და მალე, ხუთ წიგნად გამოიცემაო.

მადლობა უფალს და ალაჰსაც!

გამომშვიდობება ბურსაში

ამასობაში, ბურსას გარეუბანის "ქართული სოფლიდან" ჩვენი მწერლები და ბურსელი ჩვენებურები დაბრუნდნენ. ჯერ ნოდარ ღუმბაძე შემოიჭრა, ასიე-ბიბის მივარდა და კიდევ ერთხელ მოეხვია. ბიბი მომიბრუნდა, — ჭოვ, ე კაცი რაცხა ჩვენ ჯილაგიდან ზომარაა. ჩვენ გვგავს ძალიან, —ზომორი წარბები და ჰემ (თანაც) რაცხა ხისიმიძა ჰელბეთ, (ნათესავია) ჰო?

— მაგი თიფლისელი დიდი მწერალია, ბიბიე. მაგის დაწერილს წეიკითხავ და სიცილით გაგორდები.

— აბა მას ცრემლები რატომ აქ?

— შენ აატირე, ბიბიე.

კარლო კალაძემ, ცალკე ამახვილსიტყვებულმა, იქ მყოფნი გაამხიარულა. აქო წელანდელი სოფელი და სულ იმას იმეორებდა, ღვინის მაგიერ მაწონი როგორ დააღვეინეს.

თვალედაწურული ბესო თითქოს სულ აღმა, სხვაგან, აცეცებდა თვალებს, სინამდვილეში იქვე მასპინძლებს ათვალეიერებდა, იოსები და მედიკო ხალიჩაზე ისხდნენ ფეხმორთხმით და ყავას მიირთმევდნენ. (იქნებ — ჩაის?)

მამიდას ჩემს მხარზე ჰქონდა ხელი მოჭერილი. "ლოყაც მხარზე მოედო, თითქოს მონატრებული მემლექეთი ვიყავი.

არჩილ სულაკაური და მისი მერი კედლებზე სურათებს ათვალეიერებდნენ.

ყველანი ბავშვებივით გულაჩუყებულები, გახარებულები, ბედნიერები ვიყავით. სულ არ ვიცნობდით ვისაც შევხვდით, მაგრამ თითქოს დიდი ხნის მონატრებულს დიდი ხნის შემდეგ შევხვდით და ეს მოულოდნელი შეხვედრა, ეს ჩვენიანის სახელი, სადღაც, ბურსაში, ასე ქართულად მორთული, ჩვენი ნახვის სიხარულმა უფრო ახლობელი გახადა.

ყველაზე ჩუმად ახმედი მეჩვენა. ის სიხარულით დაბნეული ჩანდა, თან ისიც ხომ იცოდა, ჩვენს შეხვედრას შორი-ახლოდან, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, თურქულ-რუსული უშიშროების თვალ-ყური დასდევს.

საქართველოს ქართველები, საჭმელ-სასმელებით ნამეტნავად თავის მომწონები (ზოგჯერ უზომოდ, მოუფიქრებლად, უმიზნოდ ვჯოლგავთ და ეხარჯავთ ხორაგს. სასმელზე ხომ ჩვენში ზომა-წონის გრძნობა აღარაა) უცხოეთში მოხვედრილნი (იქ ჩვენზე მეტი აქვთ, მაგრამ მომჭირნებენ და ამიტომ გეგონება შენდენიც არა აქვთ.) განვიცდით უკმარობას. ჯიბის კუნჭულში მიბუშტულ გროშს დავაძრობთ და ებორიალობთ დამატებით რამე სასმელის მოსატანად. აქ, თურქეთში, სხვა ამბავია. ჯერ ხომ მუსლიმანს ღვინო ისედაც ეკრძალება, უბრალოდ, ცოდვად ეთვლება დალევა, ამიტომ სტუმართან მისი გამოტანა, ხშირ შემთხვევაში, არ მიაჩნიათ აუცილებლად. მეორეც, — ვერო-ამერიკული კულტურის გავლენითაც, ხელგამლილობა (ჩვენებური გაგებით) მიღებული არაა.

ამიტომ ჩვენ თვითონ მოვიქექეთ. მე, მაგალითად, ბოთლი "ვარციხე" ხელჩანთაში აღმომაჩნდა. ზოგი გარეთ გაძვრა და შემოიტანა. ასე რომ, მალე

ახმედ მელაშვილის სახლში, ბურსაში, ქართული ქეიფისნაირი ჟრიაშულიც კი მოკრთეთ.

— თქვენ, იქ, ბევრს სვამთ ხომ? — ჩუმათ მეკითხება ახმედი და გადარეული შესცქერის კარლო კალაძეს (იგი ზომა-წონით გვჩაგრავდა), რომელიც, თითქმის ჩაისჭიქისოდენა ჭურჭლით, კონიაკისნაირ რომელიღაც დასალევს ისხამდა პირში. როცა ერთ ყლუპს ჩიჩვირებში ჩააყუტყუტებდა, ტუჩებს მოილოკავდა და ორივე გაშლილ ხელს ვებერთელა მუცლის მინდორზე დაიტამუნებდა და იქაურ ჩვენებურებს გადასძახებდა, — აი, როგორი მამლარია სოციალიზმი! — თანაც ბალანასავით ჩაიკისკისებდა.

გამთენია ახლოვდებოდა. წასვლაზე კი არავინ ფიქრობდა. არადა, დილაილუნზე, ავტობუსით, იზმირისაკენ უნდა გავემგზავროთ. ბოლოს, როგორც იქნა ავიშალენით და შვებით ამოიგვენქმეს ქალებმა.

ადგა მამიდაჩემი, ხელი შემომხვია და გვერდით მიმაყენა. ფორკა-კაბა-ინლოლის შიგანგარებში რაღაცის ჩიჩქნა-ძებნა დაიწყო. თან ხმის კანკალით მეუბნება: — ჭოვ, იქ თურმი, სხვა დუნიაში წასულებს ფარებს (ფულებს) არ გაძღვევენ და პაწაინა მენა მოგცენა. — ამოაკანკალა საიდანდაც დაჯღურკული ღირები და გამჩრალი ხელით დაწირეხილი ქალაღდი გამომიშვირა. ჩემკენ გამოწვდილი მისი ხმელი ხელი ჩემი ხელით ფრთხილად მოვჭაჭვე და გულისფიცარზე მივიდე.

— არა, ბიბივ, მე მაგარი კომუნისტი ვარ და ფარა მაგრადაც მომცეს. შესაბრალი ჰერ (სულაც) არ ვარ. უხმოდ ჩაიკისკისა და ერხელაც (უკანასკნელად) ჩამიხუტა. ბაგეები უთრთოდა, მოსველებული თვალები მომჩერებოდნენ და ვეღარაფერს ამბობდა.

ილუნზე ჩვენი ავტო ქალაქს გაცდა. საკემელთან ვიჯექი. ბურსა უკან რჩებოდა. მინდვრებში გლეხები ამოძრავებულებიყვნენ. ხვნა-თესვა მთავრდებოდა. ერთ ალაგას, ტრიალ მოხნულ მინდორზე, ხე დავინახე. მაღალს და ოდნავ მოხრილს, წვერში, ბუჯგად შერჩენილ მწვანეზე გვიანი ყვავილები თეთრ ლეჩაქად ებურა. ის ხე მამიდაჩემს ძალიან მივამგვანე. ეს ლექსიც, ე, მაშინ, ავტობუსში დავიწყე. "ბურსას გადაღმა, ველზე ხე იდგა, მოხრილი, როგორც მამიდაჩემი..."

* * *

იზმირისკენ შარავზა ზღვისპირებს მიყვება. მე და არჩილ სულაკაური ერთ საჯდომზე ვართ ავტობუსში. რამდენი წელია ვიცნობთ ერთმანეთს. ახლა კი ისე მელაპარაკება, ვითომ დღეს გამიცნო, — რაღაც სხვანაირი პატივით, ანგარიშით, მოფერებით. ეტყობა თურქეთელ ჩვენებურთა ჩემდამი იმ დღეების დამოკიდებულებამ, ჩემი ახლობლების ნახვამ გული აუჩუყა. თავადაც რაღაც სხვანაირად თბილი და ნაზი გახდა. შუადღეა.

ვჩერდებით ზედ ზღვასთან. აგერ კაფეა. უნდა ვისადილოსავით. ზღვის ხმაური სასიამოვნო ფონადაა. ზალაში ჭერად ძველი სათევზაო ბადებია გაჭიმული, რაზეც ზღვის სამყაროს ბინადართა ფიტულები გაფენილა. ერთ ალაგას, — დიდი, ხმელი, ხუთქიმიანია. „კაფეს პატრონი გვერდითაა. არჩილი მეუბნება, ეს

ალბათ (მალა იყურება) ზღვის ვარსკვლავია? თურქი ახალგაზრდა შემოგვეყურებს, ჰგონია მას ეკითხებიან. ვცდილობ თუქულად მოვახერხო არჩილის კითხვის გადაცემა. ზღვა-"დენიზ", ვარსკვლავი? – "ილდიზ". ვეუბნები თურქს: „ ბუ დენიზ ილდიზ დირ?" ბიჭი მაშინვე შეწვდა ბადის იმ ალაგს, სადაც ფიტულია. გახია ბადე, ჩამოიღო ფიტული და გამოგვიწოდა. არჩილს ვეუბნები, შენია-მეთქი. ვსზღებით სუფრებთან. ვსადილობთ. მალე გზა გავაგრძელებთ, ერთი გორაკისკენ აუუხვით.

აი, წმინდა მარიამის ეკლესია. პატარა გორაზე, რიყის ქვებით ნაგები. ქრისტე რომ ჯვარს აცვეს, დედამისი, მარიამი, ფეხშიშველა აქეთ წამოსულა თავის მხლებლებით. ამ გორაზე შეჩერებულან. სალოცავად, სასწრაფოდ, ზღვის-პირიდან, შიშველ ხელებით მოკრეფილი ქვებით, აქ აუღიათ, აი ეს ეკლესია. სულ პატარა, უსახური, მაგრამ ძვირფასი, მადლმოსილი. სადაც, გულის სიღრმეში მესიამოვნა თურქთა ასეთი კულტურულობა და პატივი ქრისტიანულისადმი. (ხედავთ? – არც ისე ბოროტი და ველური ყოფილა ჩემი დამპყრობელ-გამმუსლიმანებელი!) ეკლესიასთან ათასობით ყავარჯენი ყრია. გვიხსნიან: როგორც კი მარიამმა ილოცა, აქვე, თავისით, მიწიდან გამოსკდა წყარო. იგი სასმელად შემოაშველა უფალმაო, მალე კი, ყველა დარწმუნდა – ეს წყალი სამკურნალოც ყოფილა. და, აი, ასობით წელია, ამ წყაროზე იკურნავენ თავს მთელი დუნისის საპყარ-ხეიბარნი. ყავარჯენებს ტოვებენ და საღსალამათნი შინ ბრუნდებიანო.

იზმირი. სიამოვნების ქალაქი. აქ ორი ფიქრ-გახსენება მიმეორდება: მუსტაფა ათათურქის სიტყვა ახალ მეჯლისში, მგონი 20-21 წელს (ათას ცხრაასის), სომეხთა ხოცვის გამო თქმული. (სამი ტომი რუსულად ვასო გობრონიძეს "რუსული პოეზიის" ქართულად თარგმნილ ტომში გავუცვალე. ვაი-მე!). სწორედ იზმირის ერთი ეპიზოდი ახსენა ათათურქმა. ჩვენი რევოლუცია ჯერ საიმედოდ ვერ აკონტროლებდა ყველა ქალაქსო. იზმირის პორტში მომუშავე სომეხებმა, ღამით, მალულად, ნავით, რეიდზე მდგარ "ანტანტელი" ინგლისის კრეისერამდე მიიპარნენ და მტერს იზმირში შემოუძღვნენო. აოხრდა ქალაქი, რაშიც იზმირელ სომეხთა წვლილი დიდიაო, მაგრამ ჩვენ უნდა შევწყვიტოთ სომეხთა დევნა - დასჯა, – მსოფლიო გაგვამტყუნებსო.

მეორე: მამაჩემის "ჩეთემი" ასკერად ყოფნა ერთ სახლიდან, თურქი "ონბაში" უბრძანებს (ართვინში სომეხებს დაეძებენ გასანადგურებლად), – აბა, ნახე ჭერში ხომ არ იმალებიანო. ავზოხდი კიბეზეო, მიყვება (მამაჩემი), – ვათვალიერებ, წყვდიადში, ერთ კუთხეში შეპეჭილან ქალი, ალბათ დედა, და ბავშვები, ბნელს ამათი შეშინებული თვალების ელვები ჰკვეთენ. მე კიბეზე უკან ვეშვები თურქ ონბაშს მოვახსენე, იქ არავინ არაა! (მადლი უქნია რამხელა მამაჩემს!)

იზმირიდან ანკარაში მივემგზავრებით. ხეთების მუზეუმის შესასვლელთან ორი ქანდაკებაა, ძველი, სამი ათასი წლისა. თიხისა. ერთს, წვეროსან, მოღიმარ ხეთს ყანწი უჭირავს, თითქოს გეპატიჟება სასმელზე, სადღეგრძელოს დასალევად, ჩემში უცნაური, შორეული, ასოციაცია ამ ქანდაკებებმა აღძრეს. ვწერ ლექსს. ის ყანწიანი თიხის წვეროსნები ჩემი ნათესავები თუ პირდაპირი წინაპარები

მეგონა.

ის ჩემი "პლაში", ჯიბეში ჩატენილი "გორგვალაით", როგორც ახმედმა დაარქვა, მხარზე ან მუხლებზე მიდევს, არ ვიცილებ. არადა, მაისი თავის ეშხში შედის ირგვლივ ხეხილები, ყანა-ბაღჩა-ბოსტნები ყვავილობენ. ჰაერი, თბილი ჟრუანტელებით გაჯერებულია. კინალამ ცხელა. ანატოლიის შიშველი, უსახური ღუბე-მინდორ-ზეგნები გადავიარეთ, ზღვა დავინახეთ "ყარა დენიზ" – შავი ზღვისკენ გადაფენილ ფერდობებს კი, სულ ხშირხშირად, აჭარულ-გურული ეზო-კარები, ღობე-ჭიშკრები, ბოსტან-ბაღჩები მოეხშირა ერთგან, წყაროსთან შევდექით. იქვე, მალლა, ყანაში ქალი თოხით ბრუნავს. ორი-სამი ჭლიკტიტველა ბაღანაც იქვე დაცუგრუმელობს. სულაკაური: – იქნებ იკითხო ეს სახლკარი ჩვენებურის ხომარაა?

ჩვენი საუბარი იქ, მალლა, ბავშვებმა გაიგონეს და დედას მიაცვივდნენ, – ნეე, ისეგავ, ჩვენებურა ლაპარაკობენო, ამიტომ კითხვა აღარ დაგვჭირდა. ქალმა, ყანაში თავსაბური შეისწორა და მორიდებით მიგვიპატიჟა, – მობრძანდით, პაწახან ჩვენც თქვენი ვართ... (მაშინ ეს ზღაპარს ჰგავდა, დღეს სხვაა) ზემოთ, შემადლებულზე, – ოდასახლი, ნალია, იქით, ხევისკენ, – წისქვილი, აქეთ – ტურაბედელა... თავი მაჭახელში მგონია.

ჩვენ ერთმანეთი ვნახეთ პირველად
ბევრი თქმა გვსურდა, თუმც ვერ ვამბობდით.
მხოლოდ იმდენი წლის შენახული
მერგო მდულარე მისი ამბორი
ფოტოგრაფის წინ ერთად დავსხედით
მიწას დასცქერის მამიდაჩემი
გულთან რომ უფრო ახლო ვყოლოდი
მხარზე დაიღო ჩემი მარჯვენი
თრთოლა, ბორგავდა, ვერ ისვენებდა,
სურდა ხსენება იმ შორეულის,
სადაც დატოვა ხე მშობლიური,
ნაყოფმწიფე და არ მოლეული
რალანა მეთქვა მისთვის იმედად
ხელსლა ვუქნევი მართოდ დარჩენილს
ბურსას გადაღმა, ველზე ხე იდგა
მოზრილი, როგორც მამიდაჩემი

მაისი 1968 წელი

ქართული ლექსის საღამო სტამბულში

წინ რომ საკმაო დრო მეგულებოდეს, სტამბულის იმ პოეტელ "კენედიში" ყოფნაზე მთელ წიგნს დავწერდი. ახლა მეჩქარება.

ჰაიდარ ზენგინი (კორტანიძე), პირველი სტამბულელი ჩვენებური, დღეების

უკან, ბათუმში შემახვედრეს. ძველი მაჭახელელია.

ახლა ხუთნი ძმანი, სტამბულში ცხოვრობენ. უფროსი ძმა, ხასანი, შშენებელ ფირმა "ჭოროხს" განაგებს, მთელი უბანი აუშენებიათ. ხასანის ტელეფონი ვიცი.

დავურეკე, შეიძახა:

— "ფრიდონ?! ვიცი, ვიცი. რომელ პოტელში ხართ? მოვდენა, გნახონა, იქნება?!"

— კი, კი, იქნება! — ვეუბნები. ეს ხასანია, ჰაიდარ კორტანიძის უფროსი ძმა. იმ მოკლე ნახვისას ჰაიდარი მომეწონა, მესიამოვნა მისი გულითაღობა, მისი თავდაჯერებული ჩვენებურობა. ისეთი რამეები მითხრა თავის სტამბულურ ცხოვრებაზე, ძმებზე, იქაურ ქართველობაზე, წელში გავიმართე.

(ნუ დაივიწყებ, — მე თითქმის ორმოცი წლის წინანდელს ვიხსენებ ამბავს. მაშინ ჩვენ თურქეთელ ქართველებზე მარტო ლეგენდები გაგვეგონა, ნამდვილის გაგებას რომელი ჩვენგანი გაბედავდა. იმ ხანებში საღლაც ერთი თბილისელი კინოდოკუმენტალისტი (პატარაია) საფრანგეთიდან, ფრანგული პირადობის საბუთებით, შევიდა თურქეთში და ქართულ ძველ ძეგლებთან მიახლოება შეძლო. გადაიღო საბჭოურ დროში პირველი ასეთი ფილმი. იქიდან რაღაც ნაწილის ჩვენების ნება დართეს).

და, აი, ცოცხალი, ნამდვილი თურქეთელი ქართველი მოვიდა პოტელ "კენედისთან". დაგვინახა და მაშინვე, მგონი თურქთა გასაგონად, ხმამაღალი ქართულით გაგვესაუბრა. თითო-თითოს მოგვეხვია. შშენიერი ქართულით გვამცნო: — მე ფრიდონთან მუველ, ჰამა თქვენ ყველაი ჩემი ხართ, ყველაი მენატრებით, ყველაი მინდოდით. გული აქეთ მეწიკებოდა. მოვრბოდი, ვითამ სულთელ საქარტველოსნა ჩავხუტებოდი. რა კაიები ხართ, რა ძალიან შეხედულეები. რა სიტყვები გაქვან. ჩვენ, აქა, იმდენ ჩვენებურ სიტყვას ვეღარ ვქონიობთ. ჰამა (მაგრამ) რავარც გეგონებთ ქართულს, მაშინვე სულგულში თავებს წამოყოფენ, ძველაი მიმთესილი ხმები და ნათქვამები, ერთმანეთს მიაგორ-მვაგორებენ და მოამტრევენ, დამპურგვებენ სიტყვებად და ავლაპარაკდებით, ისე რომ ვეღარავინ გაგვაბუცებს.

დღესნა, ჩემთანნა წოვდეთ (წავიდეთ), ბაბა-ნენე ბერები (მოხუცები) არიან და ძალვან შემეხევეწეს, ერთი ნამდვილი საქართველოს ქართველი დამანახვეთ და მისი გამაგონეთო.

* * *

მართლაც, სტამბულელ ზენგინ-კორტანიძეებთან დაუვიწყარი საღამო გამოგვივიდა. დიდ ზალაში ხუთი ძმის ოჯახები და ახლობლები შეიკრიბნენ. იმდენი სტამბულელი ქართველი მოვიდა, გახარებული და ერთგვარად დამაბულებიც ვართ. მე, როგორც უფრო შინაური, მიემართავ ბესო ჟღენტს: ბატონო ბესარიონ, იქნებ ერთი ლექსის საღამო გავმართოთ და თქვენ წაიყვანოთ? ყველას მოეწონა ასეთი წინადადება. ჟრიაშულში გადატამუნებაც გაისმა.

კორტანიძე-ზენგინების დედ-მამა შუაში დაესვათ. დედას თინთილა-შემოვლებული თავსახურავი (იაზმა) ეხურა. მამა უცნაურად დაძაბული, თვალებში ჩაგვცქეროდა თითოეულ ჩვენგანს და ჩვენგანის მიერ ხმამაღლა გამოთქმულ რაიმე სიტყვაზე ცრემლს ვერ იკავებდა. ამიტომ მაშინვე დამუჭულ ცხვირსახოცს ხან ერთ თვალში ამოისვამდა, ხან მეორეში.

უცებ, ხასან კორტანიძე ყურში ჩამჩურჩულებს, სტამბულის მერიც ჩვენ-ბურიანო (ე.ი ქართველი) და ახლა ტელეფონით მელაპარაკა, მოსვლა უნდა, მარა... დღეს (198 წლის მაისის მგონი 15-20 რიცხვი) სტამბულში სასინჯი პირველი ტელეგადაცემა ეწყობაო, რომლის ინიციატორი და მეპატრონეც ჩვენებურია, — მომახარა ჰასან ზენგინ-კორტანიძემ.

* * *

ის საღამო, სტამბულში, ორი საქართველოს შეხვედრის საღამო იყო. დიას, ნამდვილად ასეა!

იციო, საოცარი რაა? (აი, ახლა, თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ვაღიარებ ამას) აქ მყოფი მასპინძლობა, ასე გაუცხოებულ-გასხვაფერებული ჩვენებურობა ხომ პირადად უფრო ჩემი ღვიძლები იყვნენ. ამიტომ ყველაფერს მწვავედ უფრო მე განვიცდიდი. მე ვღელავდი, მე ვამაყობდი, მე ვტიროდი, მე ვზეიმობდი, მე ვწუხდი, მე ვქუხდი, მე სულ ახლოდან ვხედავდი წარსულს, მე შიგ ვიდექი აწმყოშიც. მე მიყვარდა ჩემი უბედურება, რომელსაც ახლა თითქოს ბედნიერების წუთები ღმერთმა უწყალობა.

ბესო ჟღენტი მომიწოდებს: ფრიდონ ხალვაშო! აბა, შენ გახსენი შენი ლექსით ჩვენი საღამო. შენც ხომ ერთი ამათვანი ხარ.

და წავიკითხე „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“. გავსინჯე, აჭარის გულიდან ამონახეთქი გრიგალი იმათ გულსაც თუ ააფორიაქებდა. თუ იგრძნობდნენ და თუ მიხვდებოდნენ რაზეა ლაპარაკი, როცა ვამბობ „მე ჭოროხგაღმა ორი სოფელი დამრჩა ნახევარ ქართლისოდენა“, ან „რა გლოვად ვიყავ, რა დასანახი, ჭოროხს მეწამულ ფერში უვლია, საქართველოში ალბათ კალმანი მიტომ სისხლისფრად დაწინწკლულია,“ ანდა — „მე შენი მტკვარის ერთი ზვირთი ვარ და შენი ზეცის ერთი მერცხალი“. იქაურთა სახეებს რომ შევხედე, ამეტირა.

აღგა იოსებ ნონეშვილი. არტისტულად მოქარგა ლექსი. ნოდარ დუმბაძემ ცნობილი ლექსი დუტუ მეგრელისა წარმოთქვა. ზიბლი, შემართება გამოანათებინა ლექსს კარლომ. აკადემიური და დახვეწილი იყო არჩილ სულაკაური. მეორე ლექსად ჯერ კიდევ დაუმთავრებელი "მითხარ, როგორაა მემლექეთი" წავიკითხე. უნდა გითხრათ, იგი სინამდვილის ყველაზე მდულარე დულილიდან ამოყვავილდა.

მითხარ, როგორაა მემლექეთი,
ჩემი სანატრელი საქართველო,
რამე იმნაირი გამაგონე,
გული დაკოდილი გავამთელო.

. . . ლუკმა არ მაკლია, მართალია,
მაგრამ სამშობლოთი ღარიბი ვარ.
ასე, ამნაირად, უსიცოცხლოდ,
მთელმა სიცოცხლემ გაირბინა.
მითხარ, როგორაა შემდეგეთი.
მცხეთა, ქობულეთი, კახაბერი.
იგი ნიადაგ თუ არ ვახსენე,
მაშინ ერთი წუთიც დამაბერებს . . .

* * *

წამოსვლის დღეც გათენდა. სასტუმრო "კენედის" კაფეში ჩაის დასალევად შევედით. აი, ერთადერთი მომენტი, როცა ჩემი მოუშორებელი პლაში, ჯიბეში ჩატენილი "გორგვლაით", რამდენიმე წუთით ნომერში დამრჩა. გამახსენდა. წამოვიჭერი, ოთახში შევარდი. (საშინელება!) ჩვენი ბარგი უკვე გავიტანეთ. პლაში?! დერეფანში გავარდი. საკიდარზეა, ვხედავ მთელი ჩვენი რამერუშებიც იქვეა. მოვმუჭე პლაშის კალთები თავიდან ბოლომდე. გორგვალაი აღარაა, გადარევას თითქმის აღარა მაკლია რა. (თანაც ვუიშობ, — აი, ალბათ საცაა ვიღაცა ხელს წამავლებს და ბორკილსაც დამადებს-მეთქი) სად გაიქცევი, ჯობს თავისუფლად ვიყო არაფერი შევიძინო, თორემ... ჰოტელის მეპატრონე, ხოშორულვამა თურქი, მოაჯირზე იდაყვადებული, ისეთი ეჭვით შემომცქერის... სანამ გახსნიან, ნახავენ, გაერკვევიან სჯობს თავად...

პირდაპირ მივაღეკი "ბაშბაქანს" და ჩემი თურქულით დავიწყე ჩივილი, ვიღაცამ სუენიერი ჯიბიდან ამომაცალა-მეთქი.

— ფატიმა, ფატიმა! გადაუძახა დახვავებულ კაბელებს იქით ვიღაცას. პასუხს აღარ დაველოდე, ნერვიულობით აცეცხლებულ-აკანკალებული, გადაველე იმ კაბელების ხვეულს და ერთ ბუჭულიაში შევიჭერი. ალბათ დამლაგებლის სამყოფელი იყო. ქალი პატარა დგამზე რაღაცას ფურჩქნიდა. ჩემი გორგვლავი ვიცანი. იმწამსვე ვეძგერე, მოხვეულ-მოკოჭილი ძაფები სანახევროდ შეეჩონჩვილებია. (ალბათ შიგ რაღაც ძვირფასეულობა ეგონა). ხელიდან გამოვგლიჯე მარა მადლობაც მივუგდე და გარეთ გამოვარდი.

სანამ თვითმფრინავში ადგილს დავიკავებდი, სულ მელანდებოდა ვიღაც მომდედა. როცა მალლა ცაში ავიზიდეთ, ჩემთან გვერდით, არჩილ სულაკაური შევამჩნიე. რა გჭირს, რატომ ხარ ასე დაბნეული და აღელვებულიო, მკითხა.

თავი უკვე სამშვიდობოს დავიგულე ამიტომ არჩილს თითქმის დაწვრილებით გავანდე ყველაფერი. მერე კავებებს უნდა ჩააბარო? — მეკითხება არჩილი.

— როგორ ჯობია, ვის ჩავაბარო? — ისე ოდნავ სასხვათაშორისოდ სულაკაურის გასაგონად ჩავილაპარაკე.

— რადგან წამოვიღია, ისიც გეცოდინება ვის ჩააბარო, — უცნაური სიღინჯით მიპასუხა.

ცამციმვილი, ვიზე გადაცემაც ახმედ მელაშვილმა ისურვა, აღარ ვახსენე და, საერთოდ, თითქმის ვინანე, რომ გავამზილე ეს ყველაფერი და დავაეჭვიანე

კაცი. ეტყობა არსი სწორად ვერ გავაგებინე.

აბა შენ მითხარი, ორი სამყაროს იმ სამკედრო-სასიციოცხლო დაპირისპირების დროში, ჩემისთანა კაცი ასეთ სახლაფორთო, საშიშ რამეს იკისრებდა?

მოსკოვიდან ბათუმში კვირადღეს ჩავფრინდი. ვთქვი, მომავალ კვირაში მწერალთა კავშირს მივადგე და იქ ერთერთ თავკაცს გავუძახილო საქმის ვითარება. მოვნახო ამირან ცამციშვილი და...

ორშაბათს, ბათუმის ბინაში, სამი კაცი მომადგა. რაღაცა ჩამოვიტანიათ სტამბულიდან, უნდა გადმოგვცეთ, ინაური ითხოვსო. ვერ გაგატანთ, მე თვითონ ჩამოვიტან-მეთქი, არაო, დღესვე უნდა წავიღოთო. ავდექი და თავად გავყევი. თვითმფრინავში, ბათუმ-თბილისზე, საკმაო ადგილები ჰქონდათ დაჯავშნული. აეროპორტიდან სამინისტრომდე, როგორც პატიმარი, მანქანის უკანა საჯდომზე მომათავსეს, გვერდებზე თითო ჩამომიჯდა, ასე მიმიყვანეს, იღლიაში ამოჭრილი მელაშვილის გამოტანებული "გორგვალაით". ასე, ჩემი ფეხით, მიმაფაცვაცეს იქ, სადაც მიდღემჩი არც შემიხვდია. წინ შემიშვეს. მორიგე ოფიცერი წამოდგა, "ჩესტი" გაჭიმა და, მიბრძანდი ამხანაგო ხალვაშ, — მიბრძანა (ხალვაშ!) ის ორი, ვინაც ბათუმიდან წამომიყვანა, მალლა "ხაზეინის" კარებამდე მიმყენენ. ინაურს დიდ პლიკონა-უთმო თავზე ლამპების სხივები უელავდნენ. მადლობა გამომიცხადა ასეთი "გმობისათვის". დაგვიტოვე, ვნახავთ რაა და ვისაც გინდათ ჩვენ თვითონ გადავცემთო. ავუხსენი, ეს ძველია, ისტორიაა. არავითარი ახალი ინფორმაცია არაა, ორასზე მეტი წლის წინანდელია. იგი დოქტორ სერგი ჯიქიას მე უნდა გადავცე-მეთქი. (ჯიქიას ავტორიტეტი წამოვიხმარე). არც ამან გაჭრა.

ბატონმა სერგი ჯიქიამ, რამდენიმე დღის შემდეგ, ბარათი მომწერა. (იგი საღდაც ჩემს პირად ქალაქებში ინახება). მადლობას მწერს და მაცნობებს, რომ ეს ჯერ უცნობი, დიდმნიშვნელოვანი მონაცემებია მე-17-ე საუკუნის საქართველოს შესახებო. შევისწავლი, დავამუშავებ, ვთარგმნი და გამოვცემო. (მასალა არაბული შრიფტით იყო შედგენილი. გასული საუკუნის ოციან წლებამდე ხომ თურქი არაბულ დამწერლობას იყენებდა). ეტყობა მათთვის საინტერესო ვერარა აღმოაჩინეს და მართლაც გაუგზავნეს ჯიქიას. იქნებ თავად მიუთითეს კიდეც, ბარათი მიწერე, თქვენთან რომააო.

* * *

ახლა რამდენიმე წლით დავწინაურდები და საქართველოში მელაშვილის ერთ ჩამოსვლაზე ძალიან გულსატკენს მოგიყვებით. ზაფხულის კვირადღეა. შინ, ბათუმში, მარტო ვარ. ოჯახობა შვილებით სოფელშია. შუადღისას, ბულვარისკენ გასასეირნებლად წავედი. "ინტურისტში" შევეუხვებე გაზეთების საყიდლად. კიბესთან მისვლამდე, გვერდით "ვოლგამ" ჩამიქროლა და, უცებ, უკანა შუშაში ახმედ მელაშვილი ვიცანი. ოდნავ შეჩერდა მანქანა "ინტურისტთან", მეც ფეხს მოვუჩქარე, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, მანქანა ადგილს მოსწყდა და ისევ ქალაქისკენ გასრიალდა. ვუქნიე ხელი, კიდეც ვუძახე, მაგრამ არაფერი. მივადექი მორიგეს, მითხრეს, — კი, ოთარ გიგინეიშვილი ნომერშია და თურქეთიდან

სტუმარი ჰყავსო. ტელეფონით დაველაპარაკე ოთარს. (არ მოელოდა.) საშინლად გაიკვირვა ჩემი ხმა. ბოლოს, ამოდი ჩემთანო. ავედი... არც გეგმავდა თურმე ჩემს ნახვას. ესე იგი, არავითარ შემთხვევაში არ სურდათ ჩემი და მელაშვილის შეხვედრა. (ეს უცნაური სისულელე რას ნიშნავდა ახლაც ვერ გამიხსენებია).

გამოდის, რომ ჩემი თავი კაცებზე ახმედ მელაშვილს დაუმალა ისე, რომ მე ამის შესახებ არც კი გამაფრთხილეს? თუმცა, გაეფრთხილებინე რაღა დამაღვა გამოვიდოდა. ეტყობა — ისიც იციან, რომ ბურსაში, მე და ახმედ მელაშვილი, ერთად, მარტონი, დიდხანს რაღაცაზე ვსაუბრობდით და ისიც უმაღლვე გაიგეს, — რაღაც "გორგვალაი" რომ გამომატანა. ავედი ოთართან. მეუბნება, — ახლა ქალაქიდან თანამშრომელმა დამირეკა, ფრიდონი დავინახე "ინტურისტთან" და ამიტომ აღარ შემოვიყვანე სტუმარიო.

— დაჯექი. ახლა დაბრუნდებიან. უნდა მოკლედ გითხრა, — საქმისათვის საჭირო იყო, რომ ამჯერად შენ მელაშვილს არ უნდა შეხვედროდი. ჩვენ ახმედს აეუხსენით, რომ მოსკოვში ხარ, ამიტომ, გთხოვ, შენც ასე თქვა. დღეს დაბრუნდი მოსკოვიდან... ასე სჭირდება საქმეს... — გიგინეიშვილის დიდქართველობაში განა ეჭვი იქნება? მაგრამ...

რომელ "საქმეს ჭირდება" ნეტავი ასე? ვისია ის "საქმე" და რა საქმე უნდა გააკეთოს ასეთმა "საქმემ"? და არის თუ არა ის "საქმე" ჩემი ზიარის?

ამასობაში ახმედი შემოიყვანეს. იგი მოვარდა და გულშეწუსებულად გადამხვია. როდის ჩამოდიო, მკითხა და ეშმაკურ-მალული თვალცქერიალები ფანჯრით გარეთ გატყორცნა, ჩემთვის სახის ჩვენებას მოერიდა. ალბათ პირზე ნამეტანი ამჟამად ეწერა საქართველოს უსუსურობაზე წუხილი. მერე, მის ნომერში შევედი და დიდხანს ვისაუბრეთ.

თითქმის ატირებული მელაპარაკებოდა. რა სამწუხარო საქართველოა დღესო. ვის ხელშია საქართველო. შენი თავი დამიმაღეს. თბილისში მითხრეს, ხალვაში არაა ბათუმშიო. მე სხვას არავის დაველაპარაკე, გავაცხადე, შემახვედრეთ ფრიდონს-მეთქი. და მაინც წამოვაყვანიე ჩემი თავი.

ბოლოს ასე თქვა: აქედან მოსკოვით პირდაპირ პარიზში ვაპირებ. იქ უკეთეს ქართველებს ვნახავო. გულდაკოდილი, ნაწყენი, ჯავრიანი მესაუბრებოდა. სერგი ჯიქია მართლა დიდი თურქოლოგია? — მკითხა შუა საუბრისას. სხვათაშორის, სერგის წერილს დიდხანს ჯიბით ვატარებდი. მოვიძებნე, ვიპოვე, ვაჩვენე, ოი, ნენი! — როგორი შინაგანი ბედნიერებით ჩაიკითხა ის წერილი. უცებ სულ გამოიცვალა. — არ დამტყვენ თვარა ერთ-ორ დღეს ვიქნებოდი აქაო. (ახლა ვფიქრობ: ხომ არ ეჭვობდა რომ "გორგვალაი" არც ჯიქიაზე არ გადაცემულა?) ახმედი იმავე დღეს თბილისისკენ წაიყვანეს, საიდანაც მეორე დღით მოსკოვს გაემგზავრა. ის ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

11. 04. 06.

ახლა რაი? "თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო" უკეთეს დღეშია ვითომ? არა, დიდო ჩვენებურო, — ახმედ მელაშვილო, მე ვიცი, ახალი მიწოლ-მოწოლების გადატანა ჯერ მთლად გადატანილი არაა... ამ წუთას, მოულოდნელად, სხვა უფრო ღრმა, საჭოჭმანო და, გნებავეთ, უფ-

რო შემაშფოთებელ, ძნელად წარმოსადგენ, მაგრამ მაშინდელი უშიშროების (სუკი) ხელში ადვილად დასაშვებ ამბავზეც ამეკვიატა ფიქრი.

ბატონი სერგი ჯიქია მწერდა, – თქვენ დიდი მამულიშვილური საქმე გააკეთეთ. ასეთ რთულ ვითარებაში, არ შეშინდით, იმოღენა პასუხისმგებლობა იკისრეთ და ესოდენ საჭირო, უცნობი, იშვიათი ღირებულების მასალები, მტრული სამყაროდან, სამშობლოს დაუბრუნეთო. მე უკვე შეეუდექი მუშაობას. მძიმეა ეს სამუშაო, მაგრამ ვიმედოვნებ ახლო მომავალში, ფრიალ ღირებული და ძვირფასი წიგნი გვექნებაო.

ძვირფასი მეცნიერი რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა. იმ "ფრიალ ღირებულ" წიგნზე კი მე აღარაფერი მსმენია. რა იქნა, სადაა წიგნი?

აი, ახლა, დღეს, ეჭვები მღრღნის, – ხო არ აიძულეს ბ-ნი პროფესორი ჩემთვის იმგვარი წერილი მოეწერა. (ვითომ ის "გორგვალა" მასთანაა.) სინამდვილეში კი საქართველოს ისტორიის ამსახველი უცნობი მასალების მთელი "გორგვალა" საკავშირო უშიშროებას ხომ არ გადასცეს? (მკითხველო: გთხოვ ჩაიხედო ამ წიგნის 189-ე გვერდზე, 26.11.07-ის დღიურში. ასე მოხდა)¹

¹ფრიდონ ხალვაში, ომრი, თბილისი 2007. გვ. 173-209.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი

1728 წელს ოსმალთა ხელისუფალთა მიერ შედგენილი ფისკალური დოკუმენტი — „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ — საქართველოს ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი წყაროა. იგი საინტერესოა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ლინგვისტური, ონომასტიკური, ისტორიული გეოგრაფიის და სხვა მრავალი საკითხის შესასწავლად. 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ინახება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში. პირველად მას აკად. ს. ჯიქიამ მიაქცია ყურადღება, მას შემდეგ, რაც მისი მიკროფირები 1969 წელს იქნა მიღებული. მან შეძლო მეტად რთული ადგილების ამოკითხვა.

დავთარი შედგება ორი ტომისგან. იგი მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს - ქვემო ქართლს. დავთრის შესწავლა-გაანალიზება და გამოქვეყნება უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს აღნიშნული რეგიონის წარსულით დაინტერესებულ მკვლევართ.

პირველ გვერდზე მოცემულია სულთნის თურა შემდეგი წარწერით: „სულთან აჰმედ ხანი მუსტაფა ხანის ძე, მუდამ გამარჯვებული“. იგულისხმება ოსმალეთის სულთან აჰმედ III (1703-1730).

დავთრის პირველ ტომს ახლავს ვაკუფ-ნამეს სრული ტექსტი, რომელიც გაცემულია: „ქალაქ თბილისში, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ოჯახის ალა ვექილის, დიდებული ქასქი ელ ჰაჯ ალი ალას მიერ ვაკუფის კანუნ-ნამეს სახით“.

ვაკუფ-ნამეს სრული ტექსტი უცნობი იყო ქართულ ოსმანისტიკაში. აქამდე ვიცოდით საქართველოში ვაკუფების არსებობა თბილისში, გორსა და თრიალეთში. სხვაგან ვაკუფების არსებობა არ იყო ცნობილი. თბილისის დავთარში კი ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოში სავაკუფო მეურნეობები. ამ ვაკუფ-ნამეს მიხედვით, ბევრი საკითხის დაზუსტება შეიძლება. ეს დოკუმენტი ეხება XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში თბილისის ვილაიეთში არსებულ ვაკუფ-ნამეს, საიდანაც ნათლად ვხედავთ თბილისის ვილაიეთში გამოყოფილ სავაკუფო მამულებს, ადგილობრივ მკვიდრთა გამუსლიმების პროცესს და ვაკუფების გავრცელების არეალს თბილისის ვილაიეთში.

აღსანიშნავია, რომ ოსმალთა სარდალი მუსტაფა ლალა-ფაშა, რომელმაც დალაშქრა მთელი ამიერკავკასია, სამცხეში ფლობდა უამრავ მამულს. XVI საუკუნის 70-იანი წლების ერთ-ერთი დოკუმენტი შეიცავს ცნობებს მუსტაფა ლალა-ფაშას მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე ვაკუფების გავრცელების შესახებ. ამ დოკუმენტით აშკარა ხდება, თუ როგორ ხდებოდა ქართული პროვინციების ისლამიზაცია და სავაკუფო მფლობელობაში გადასვლა. მთელი სამხრეთი საქართველო მოფენილი იყო სავაკუფო სამფლობელოებით, სადაც მხოლოდ მუსლიმური სამართალი მოქმედებდა.

ქართლში ოსმალების მმართველობის დამყარებიდან, რამდენიმე წლის შემდეგ, მთელს თბილისის შემოგარენში ახლომახლო ტერიტორიებზე ძალიან ყოფილა გავრცელებული სავაკუფო მიწისმფლობელობა. ვაკუფების მფლობელნი იყვნენ ცალკეული მეჩეთის განმგებლები და სხვა მუსლიმი პირები, მათი შემოსავალი

საკმაოდ დიდი იყო. თბილისის დაეთრის პირველი ტომის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ვაკეულების მფლობელებს, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ თავიანთ განმგებლობას ქართულ მიწებზე, ამჯერად ეს მიწები მუსლიმური მეჩეთების მფლობელობაშია, ხოლო მათი მესვეურები, რა თქმა უნდა, მუსლიმები არიან, მუსლიმურ ადამ-წესებს აღაველენ და ქადაგებენ მხოლოდ მუსლიმებისათვის.

თბილისის დაეთრის პირველი 10 გვერდი უკავია სარჩევს. ვრცელი სარჩევის შემდეგ დაეთარი იწყება თბილისის ციხის რაბათის აღწერით, რომელსაც მოსდევს შემდეგი ეკლესიები: ფეთხანის, საჰაკის, ნორაშენის, კართაკის, ჯივრაშენის, სუთინშაჰის, ანჩისხატის, ვანქის, ამოს.

ამ ეკლესიების გარშემო ძირითადად ქართველები და სომხები ცხოვრობენ. იშვიათად არიან ებრაელები და თურქები.

1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დაეთრის“ მიხედვით, თბილისი მრავალი ეკლესია-მეჩეთითაა გარემოცული, რომლის მოსახლეობას გარკვეული დავალებების შესრულება აკისრია.

აქვეა თვით თბილისის ე.წ. მუქათას, ე.ი. კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც შეწერილია არაერთი გადასახადი: ბაჟი, ზომა-წონის ერთეულებზე, სასწორზე, ასევე გათვალისწინებული იყო გადასახადი თამბაქოზე, ხილზე, ბაზარზე გასაყიდ საქონელზე, კერძოდ, ცხენზე, ტყვე ქალ-ვაჟზე, ასევე გადასახადი დაწესებული იყო კრამიტის სახლებზე, კერძო საკუთრებაში მყოფ საჯაკუფო ჯამებზე, მტკვარზე დაჭერილ თევზზე, ბალ-ვენახებზე, რომლებიც გაშენებული იყო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მდინარეებზე აგებულ წისქვილებზე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენთელიანი წისქვილი იყო. ასევე არ იყო მივიწყებული ზარაფხანები - ფულის საჭრელი დაწესებულებები.

დაეთარში საგანგებოდაა ჩამოთვლილი ყველა ის გადასახადი, რომელიც თბილისის მირმირანს ემართა. კერძოდ, თბილისის მირმირანის ხასი - ისფენჯის გამოსაღები თვით თბილისზე 440760 ახჩა. სუბაშილიქი თბილისის ხასზე იხდის 12000 ახჩას. დიდებული ვეზირი ისჰაკ ფაშა შერიფის მუთეველისაგან იღებდა ყოველწლიურად 3000 ახჩას. თბილისის მირმირანი თავისი ხასიდან შემოსავლის სახით იღებდა ბადიჰავას თიმარებისაგან - თბილისის ლივასაგან, სომხითის, აღჩა ყალას, კაზახის, გორის, ზემო და ქვემო ქართლის, სხვა სამეუფეო ხასებისაგან, ხასი მირლივასაგან, ზიამეთების, ვაკეუებისა და სულთნის სიძის ხასიდან შემოსავალს იღებდა ყოველწლიურად 60000 ახჩას, თბილისის ხასიდან ბეთალმალს იღებდა 12000 ახჩას. იყო ბაჟებიც დაწესებული.

ასევე აიღებოდა დამლის გამოსაღები თითოეული ოყადან ოთხ-ოთხი ახჩა, თითოეულ ცხვარზე ყოველი ოყადან - 2-2 ახჩა. ხასის მირმირანს აძლევდნენ 14000 ახჩას.

დაეთრის მიხედვით დიდების საერთო შემოსავალი შეადგენს 54820 ახჩას. ჩამოთვლილია სხვადასხვა თანამდებობის პირები, რომელთა დღიური შემოსავალი იყო 299 ახჩა. მთელი წლისა კი 106440.

ასევე აღწერილია ერთ-ერთი ჯამეს შემოსავალი, გათვალისწინებულია ჯამებზე შეწერილი ყოველგვარი გადასახადი, დაანგარიშებულია მისი ყველანაირი შემოსავალ-გასავალი. დაჯამებულია საერთო თანხა. მომდევნო გვერდებზე საუბარია ჯამეს

მსახურთა საქმიანობაზე, მათ შემოსავალზე და თანამდებობრივ იერარქიაზე. ჩამოთვლილია გადასახადთა ოდენობანი, როგორც დღიური სარჩოს სახით, ასევე მთელი წლის შემოსავლის ოდენობაზეც.

შემდეგ გვერდებზე ჩამოთვლილია სოფლები: ნისაკური, შავერდი, გუნდა, ქარისი, ნავთლული, ბაკალ ქენდი, არაშენდა, ჩუღურეთი. თითოეულ სოფელზე შეწერილია გარკვეული რაოდენობის გადასახადი, აქვეა მთელი სერია გადასახადებისა, რომელთა საერთო ჯამია 4000 ახჩა. ამ გადასახადთა რიცხვში შედის გადასახადი ცხვარზე, თაფუ-ი ზემინ, ღემთიბანი, ოშრი ბალათ, რესმი გოვარე, რესმი არუსანე, რესმი ასიაბ, ნისფი ბადიჰავე და სხვა.

საუბარია სოფ. დიდუბეზე, რომელიც ექვემდებარება ჰალაბირს, მასში გაერთიანებულია 32 კომლი. სავაკუფო მიწების დღიური შემოსავალია 250 ახჩა. დიდუბის მოსახლეობის მთელი შემადგენლობა იხდის ყველა გადასახადს. მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართულია. შემდეგ დახასიათებულია ავლაბრის რაბათი, რომელშიც გაერთიანებულია 76 კომლი, მოსახლეობა ძირითადად ქართულია. რაბათის მოსახლეობა იხდის ისფენჯისა და სხვა გადასახადებს საერთო რაოდენობით - 15000 ახჩა.

შემდეგ აღწერილია სავაკუფო მედრესე, მასში მოღვაწე პირთა საქმიანობა. დაჯამებულია ყველა გადასახადი და მათი ხელფასების ოდენობა. ამ მხრივ საინტერესოა მედრესეში მომუშავე პირთა თანამდებობები და მათი საქმიანობა.

შემდეგ აღწერილია გორის ღივა. პირველად განხილულია სისის, ე.ი. საციციანოს ნაპიე, ციციშვილების სამფლობელო, საუბარია სოფელ სახლთზე. მასში რეგისტრირებულია 51 კომლი. ამ სოფელში არის სახასო, სავაკუფო და ცარიელი მიწებიც. ამ სოფლის მოსახლეობა იხდის ყველა გადასახადს. გადასახადთა საერთო ჯამია 25560 ახჩა.

მომდევნო სოფელია სათალ-კამი, რომელიც ცარიელია მოსახლეობისაგან. სოფელი ძეგვის შემადგენლობაში გაერთიანებულია 55 კომლი. სოფელი იხდის ყველა გადასახადს. გადასახადთა საერთო ჯამია 32030 ახჩა. სოფელ სასხორში გაერთიანებულია 43 კომლი. სოფელი იხდის 18190 ახჩას. დავთარში არაა რეგისტრირებული არცერთი ქართული გადასახადი. აშკარად ჩანს, რომ თბილისის ვილაიეთის დავთარი მხოლოდ ოსმალური გადასახადების შესახებ იძლევა ცნობებს.

საციციანოს ექვემდებარება ასევე სოფელი კუდალეთი. მასში შედის 94 კომლი. მთელი მოსახლეობა იხდის მხოლოდ საოსმალო გადასახადს, რომლის საერთო ჯამია 35730 ახჩა. საციციანოში არის მოსახლეობისაგან ცარიელი სოფლებიც. ასეთი სოფლებია ქვედა ხანდაკი და ქესურნისი, მათზეც შეწერილია გადასახადები.

დავთარში ასევე დასახლებულია სოფლები აზანი, ზანადიქი, ბუასიქი, ზაკურისი, მითახი, ერთაწმინდა, ახალქალაქი, გომი, ხანდაკი, აბანო, ყარა ალაჯი, ფიტარეთი, სასირეთი, ზიდისთავი, ქვახერელი. არის აგრეთვე ებრაელთა უბნები, გრაკალი, ბნავისი, თხილნარა, ქარელი, აგარა, ბოსლეთი, ერქნეთი და სხვა მრავალი. სულ 132 სოფელი. მათგან ზოგიერთი ცარიელია მოსახლეობისაგან, ჩანს, რომ საციციანო საქმალად მოზრდილი ტერიტორიაა.

საციციანოს მოსდევს პეტრეს რაიონი. ამ რაიონში გაერთიანებულია 41 სოფელი. თითოეულ სოფელზე შეწერილია გარკვეული რაოდენობის გადასახადი, რომელსაც

ადგილობრივი მოსახლეობა იხდის. მოსახლეობა მთლიანად ქართულია. გადასახადთა საერთო ოდენობა შეადგენს 40360 ახჩას. ამ რაიონის სოფლის მკვიდრნი ისევე იხდიან ყველა ოსმალურ გადასახადს, როგორც სხვა სოფლების მკვიდრნი, ჩანს, რომ ოსმალებმა თავიანთი 5-6 წლიანი ბატონობის პერიოდში შეძლეს ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამკვიდრება. პეტრეს რაიონში შედის ისეთი სოფლები, როგორცაა: ფაფა, ჭობისხევი, სადგერი, ახალდაბა, ზანაევი, ჭალა, ლიკანი, კორტანეთი, აბანოსხევი და სხვა მრავალი.

შემდეგ მოდის საამილახვროს ნაპიე გორის ყაზაში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაპიეა მთელს თბილისის ვილაიეთში. მასში ძალიან ბევრი სოფელია წარმოდგენილი. საამილახვროში გაერთიანებულია 163 სოფელი. ზუსტადაა თითოეული სოფლის მოსახლეობის რაოდენობა, გადასახადთა სახეობანი, მიწისმფლობელობის ფორმები და სხვა საკითხები.

საამილახვროს სოფლებიდან დასახელებულია ქვიშხეთი, რომელიც ახლოსაა ტაშისკართან. მარტო ქვიშხეთში გაერთიანებულია 145 კომლი. საერთო გადასახადებთან ერთად ამ სოფელზე შეწერილია 65770 ახჩა. სოფელი სურამი, რომლის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 255 კომლს. ადგილობრივი მოსახლეობა ასევე იხდის ყველა საოსმალო გადასახადს. საერთო გადასახადია 15000 ახჩა. აქვე არის ებრაული დასახლებაც.

სოფელი ხაშური, რომელიც საკმაოდ მომცროა, მასში მხოლოდ 15 კომლია წარმოდგენილი. დასახელებულია სოფლები: ოსიაური, ახალი სოფელი, იტრია, ჩუმათელეთი.

საამილახვროში საკმაოდ მომცრო სოფლებია: დაკა, სხლოვანი, ხელთუბანი, ზაღლევი, ავლევი. საკმაოდ მომცრო სოფლებია მეტეხი, სალოლაშენი, თამარაშენი, ქურთა, ურბნისი, თორტიზა. სამაგიეროდ ძალიან ღონიერია რუისი, რომელიც ვაკუფადაა წარმოდგენილი და ეკუთვნის რეჯებ-ფაშას. ამ სოფელში გაერთიანებულია საკმაოდ დიდი რაოდენობა მოსახლეობისა - 449 კომლი. ადგილობრივი მოსახლეობა იხდის ყველა გადასახადს - 196620 ახჩას ოდენობით.

ამ დიდი სავაკუფო მამულის შესახებ საუბრის შემდეგ ლაპარაკია სასაზღვრო საკითხებზე ცალკეულ საგვარეულოებს შორის. შემდეგ მოცემულია ცნობები სავაკუფო დაწესებულებაში - მეჩეთში არსებულ ცალკეულ თანამდებობებზე, მათ ხელფასებზე, ბალ-გენახებსა და შემოსავლის წყაროებზე, რომლებიც ასევე დაბეგრულია გარკვეული გადასახადებით.

სულ საამილახვროში 130 სოფელია დასახელებული.

ასევე, აღნიშნულ წყაროში მოცემულია ცნობები ქსნისა და არაგვის ხეობის სოფლების, გუჯარეთის, თრიალეთის, გომარეთის, ყაიყულისა და სხვა რეგიონების შესახებ.

სულ დასახელებულია ქსნისა და არაგვის ხეობის 52 სოფელი. მოცემულია მათი საერთო შემოსავალი, მოსახლეობის რაოდენობა, მათზე შეწერილი გადასახადების საერთო ოდენობა. შედარებით დიდი სოფელია ახალგორი, რომლის მოსახლეობა შეადგენს 67 კომლს. ადგილობრივ მოსახლეობაზე შეწერილ გადასახადთა საერთო ჯამია 22570 ახჩა.

სოფელი ღუშეთი, რომლის მოსახლეობა შეადგენს 53 კომლს. მათზე შეწერილია

საოსმალო გადასახადები 20140 ახჩას ოდენობით. ჭალა, ახალუბანი, ახალგორი, ჩარგალი, ბოდორნა, არხოტი, ბაზალეთი, ხანდო, არღუნი და სხვა.

ქსნისა და არაგვის სოფლების ბოლოს დასახელებულია გორის ციხე, გორის რაბათი და გორის მაჰალე. აქვე დასახელებულია რამდენიმე მაჰალე, კერძოდ: როსტომის, ვარდისუბნის, კარნაქის, ყოვლადწმინდის, ფარსადანის. გორის მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენს 262 კომლს. მოსახლეობა საკმაოდ ჭრელია: არიან სომხები, თურქები და, რა თქმა უნდა, ქართველები. ძალიან ბევრია ბალი და ვენახი, არის საეკუყო მიწები, ბოსტნები, ველები, რომლებსაც ჰყავთ თავიანთი მეპატრონეები. არის წისქვილები. მოსახლეობაზე შეწერილია ოსმალური გადასახადების ყველა სახეობა. გათვალისწინებულია სხვა ხარჯებიც. ასევე ანგარიშგასაწევია საიმამო, მუქინისა და სხვა ხასიათის გადასახადები.

დავთრის მომდევნო გვერდებზე საუბარია მუხრანის ლივაზე. მასში გაერთიანებულ 45 სოფელზე, მათ შორისაა მცხეთის ეკლესია, რომელიც მუხრანს ექვემდებარება, მასში სულ 12 კომლია. მუხრანის 45 სოფლიდან მხოლოდ 6 სოფელია დასახლებული, დანარჩენი სოფლები ცარიელია მოსახლეობისაგან. მიუხედავად ამისა, თითოეულ სოფელზე შეწერილია გარკვეული რაოდენობის გადასახადი.

შემდეგ, დავთარში განხილულია თრიალეთის ყაზაში შემავალი 83 სოფელი. თრიალეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართულია. ადგილობრივი მოსახლეობა იხდის ოსმალურ გადასახადებს. თითოეულ სოფელში ადგილობრივ მკვიდრთა რაოდენობა საკმაოდ დამცრობილია. დავთარში საუბარია სოფლებს შორის არსებულ საზღვრებზე. არის მოსახლეობისაგან ცარიელი სოფლებიც, რომლებზეც ასევე შეწერილია გარკვეული ოდენობის გადასახადები. საკმაოდ დიდი სოფელი ჩანს ახალშენი, რომლის მკვიდრთა რაოდენობა შეადგენს 70-ს. იხდის გადასახადებს - 25333 ახჩას ოდენობით. თბილისის მირმირანი სახასოა, აგრეთვე სოფელი ბაზიდი, რომლის მოსახლეობა შეადგენს 60-ს. გადასახადთა რაოდენობა კი 25074 ახჩაა. თრიალეთის ნაპიეს სოფლების ზოგიერთი ნაწილი ცარიელია მოსახლეობისაგან. საერთოდ, 83 სოფლიდან ყველა იხდის გადასახადს. ძირითადად პატარა სოფლებია. ზუსტად დადგენილია საზღვრები ცალკეულ სოფლებს შორის.

შემდეგ დასახელებულია გომარეთი, რომელშიც წარმოდგენილია 17 სოფელი, გომარეთის ნაპიეში ყველაზე დიდი სოფელი არის დიდი გომარეთი, რომელიც ითვლება სომხთის მირლივად. ის ექვემდებარება გომარეთს. ამ სოფლის კომლთა რაოდენობა შეადგენს 108-ს. გადასახადია 30000 ახჩა. დანარჩენი სოფლები საკმაოდ პატარებია. გადასახადები ყველგან ოსმალურია.

შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულია გუჯარეთი, რომელშიც 16 სოფელი შედის. ყველა სოფელი პატარაა. ყველას ევალება გადასახადების გადახდა. მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლებისა ცარიელია მოსახლეობისაგან.

„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ბოლო ნაწილი ეხება ყაიყულის ყაზას თბილისის ვილაიეთში. ლივაში შედის 51 სოფელი და 10 დასახელების პუნქტი. ყაიყულის პირველი სოფელია კაზანჯი, რომელშიც გაერთიანებულია 190 კომლი, აქვეა სარქისის მაჰალეც, ადგილობრივი მოსახლეობა იხდის გადასახადებს საერთო რაოდენობით 85000 ახჩას. აქვეა ბაზარზე გასაყიდად წარმოდგენილი საქონლის ფასები, აქვე დადგენილი სადალაქობესა და სხვა აუცილებელ დაწესებულებებზე

შეწერილი გადასახადები. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ძირითადად სომხურია. არის თურქმანული ფენებიც. არის ქართულიც. აქვეა მოსახლეობისგან ცარიელი სოფლებიც. მოსახლეობის საერთო რაოდენობა ცალკეული სოფლების მიხედვით შეადგენს დაახლოებით 40-50 კომლს. ყველაფერი დაბეგრულია გადასახადებით. „დავთრის“ მთელი გვერდი ეძღვნება საზღვრების დადგენას.

საკმაოდ დიდი სოფელია კიზილ კოჩი, რომლის მოსახლეობა შეადგენს 146 კომლს. მოსახლეობა ძირითადად სომხურია, არიან თურქებიც. ზუსტადაა დადგენილი საზღვარი თითოეულ სოფელს შორის. არის მთელი რიგი სოფლებისა, რომლებიც მოსახლეობისაგან ცარიელია.

„დავთრის“ პირველი ტომი თავდება სოფლებს შორის არსებული საზღვრების დაზუსტებით. დავთრის ბოლო 528-ე გვერდზე მოცემულია დავთრის შედგენის თარიღიც, კერძოდ მას აწერია: „დაიწერა 1140 წლის 24 რეჯებს (1728 წლის 7 მარტი)“.

„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მეორე ტომი მოიცავს 558 გვერდს.

„დავთრის“ მეორე ტომი იწყება თბილისის ვილაიეთში შემავალი სოფლების დასახელებით. უპირველეს ყოვლისა, განხილულია საბარათიანოს ნაპიე, ჩამოთვლილია საბარათიანოს ნაპიეში შემავალი სოფლების სახელწოდება. მოცემულია თითოეულ სოფელზე შეწერილი გადასახადის საერთო ჯამი, ჩამოთვლილია სოფლის კომლთა რაოდენობა, ცალკეულ გადასახადთა სახეობანი, მათი ოდენობა. ჩანს, რომ გადასახადთა სახეობა სხვადასხვაა რეგიონში.

დავთარში დასახელებულია ათასზე მეტი სოფლის სახელწოდება, მას იქვე მიწერილი აქვს თითოეული სოფლისათვის შეწერილი გადასახადის რაოდენობა.

აქვე დასახელებულია თბილისის სანახებში არსებული სოფლების სახელები: არმაზი, ოქროყანა, კოჯორი, წყნეთი, ახალდაბა, ბეთანია, ლისი, დიღომი, მუხათგვერდი, თელეთი, კრწანისი, სარკინეთი და სხვა მრავალი. აქვეა ჩამოთვლილი ყოველი დასახელებული და ჯამათები, დაწერილებითაა ჩამოთვლილი ყოველი დასახელებული პუნქტი.

დავთარში ჩამოთვლილია თითოეული სოფლის შესახებ სრული ინფორმაცია. მოცემულია ცნობები სოფლებს შორის არსებული საზღვრების შესახებ. სარჩევში დასახელებულია 1000 სოფელზე მეტი. აქედან 300 სოფელი საბარათიანოს შემადგენლობაშია. შემდეგი სოფლები დმანისის და ბაიდარის ნაპიეში შედის. დასახელებული პუნქტები, ყოველები, (ჯამათებისა, იუზბაშების) შედის თიმურჯი ჰასანლუს ნაპიეში. ეს ტერიტორიები მთლიანად ექვემდებარება თბილისის ყაზას. დავთრიდან ამკარად ჩანს, რომ მთელი ქვემო ქართლი მოფენილია ჯამათებითა და ყოველებით, რომლებშიც საკმაოდ დიდი ოდენობის მოსახლეობაა გაერთიანებული.

ასევე მომრავლებულია მომთაბარე თურქმანთა ტომებისათვის დამახასიათებელი იათაკები და ყოველები. ჩანს, რომ ამ პერიოდში ქვემო ქართლის მთელ რიგ ტერიტორიებზე თურქმანული ტომების დიდი მოძალებაა. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არაა ქართული ქრისტიანული მოსახლეობა. მასობრივად თურქმანული მოღვმის ტომებია ჩამოსახლებული მთელს ქვემო ქართლში. არც ქართული სამღვდელეობაა წარმოდგენილი. დავთრის მიხედვით, შულავერი სომხთის შემადგენლობაშია. აქვეა ცნობები ბაღების, ვენახების, სოფლების საზღვრების შესახებ. შულავერში ბევრი ვენახი ჩანს.

მნიშვნელოვანი რაოდენობის სოფლები ექვემდებარება სომხეთის ნაპიეს. სოფლების გაყოფისას უსათუოდ მითითებულია გორაკები, ბორცვები, სასაფლაოები და ადგილობრივი სახელწოდების გეოგრაფიული პუნქტები. სოფლები ერთმანეთისაგან დაცილებულია ადგილობრივი სახელწოდების ერთეულებით.

597-ე სოფლიდან იწყება ტაშირის, ფანბაკის, კახახის, აჰსაბადის, ახჩაკალას სოფლების აღწერა

ამრიგად, „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მეორე ტომი შეიცავს 1028 სოფლის შესახებ ფართო ინფორმაციას. მასში დაწვრილებითაა გადმოცემული აღნიშნული სოფლების შესახებ მონაცემები. კერძოდ, საუბარია გადასახადების ცალკეულ სახეობებზე, ამ პერიოდისათვის აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე, მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე, რელიგიურ მდგომარეობასა და სხვა მრავალ საკითხზე.

ამრიგად, თბილისის ვილაიეთის დიდ დავთრის I და II ტომები ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა XVIII საუკუნის მეორე მეოთხედის ქართლის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა საკითხების შესასწავლად. დავთარი იძლევა უხვ მასალას ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული დავთარი საქართველოს ისტორიის მრავალ საკითხს გასცემს პასუხს. დღეს კი ქართული თურქოლოგიის გადაუდებელ ამოცანას შეადგენს „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ორივე ტომის სასწრაფო გამოძეურება, გამოქვეყნება¹.

¹ დავთართან დაკავშირებით არაერთი სტატია დაიბეჭდა, ზოგიც მზადაა დასაბეჭდად. იხ. ქვემოთ

1. აღნიშნული წერილი დაიბეჭდა უფრო ვრცელ ქართული დიპლომატიის მე-7 ტომში, წელიწადული 7, თბ., 2000, გვ. 333-350. აღნიშნულ დავთარზე დაიბეჭდა არაერთი სტატია, ზოგიერთი უკვე კიდევ არაა გამოქვეყნებული. იხ. აქვე. მათ შესახებ. ნოზარ შენგულია, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. გვ. 333-350. ქართული დიპლომატია, წელიწადული 7, თბ. 2000

2. სამილახვაროს ნაძიე „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, გვ. 220-230, თამარ გამსახურდია. 70 წლისთავის საიუბილეო კრებული მიძღვნილი თამარ გამსახურდიას ნათელი ხსოვნისადმი. თბ., 2007.

3. სომხეთის ნაძიე 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით (1728 წ. ტ. 2. გვ. 194-208). ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. V. თბ., 2008.

4. საბარათიანოს ნაძიე „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მეორე ტომის მიხედვით. გვ. 181-204. აღმოსავლეთი და კავკასია. №6, თბ., 2008.

5. საბარათიანოს ნაძიე „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მეორე ტომის მიხედვით. წაკითხულია მოხსენებად. იხ. კონფერენციის თეზისები: საქართველო და აღმოსავლეთი (წარსული, აწმყო, მომავალი) კონფერენცია 22-24 დეკემბერი. საქართველო, თბილისი, 2008. გვ. 37-38.

6. მუხრანის ნაძიე „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. იბეჭდება პროფ. ნათელა ვაჩნაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში. მზადაა დასაბეჭდად შემდეგი სტატიები: საციციანოს ნაძიე 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. „ქინისა და არაგვის ხეობა „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით“, გვ. 1-8. გომარეთის ნაძიე „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, გვ. 1-4. თრიალეთის ნაძიე „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, გვ. 1-10. პეტრეს ნაძიე „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, გ. 1-7. ყაიყულის ყაზა თბილისის ლიჯაში „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, გვ. 1-7.

7. „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (თურქულ ენაზე) იბეჭდება თურქეთის საისტორიო საზოგადოების კონგრესის მასალებში. მოხსენება წაკითხულ იქნა კონგრესზე 2002 წელს.

8. თბილისის ეკლესიები „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით. მზათაა დასაბეჭდად.

9. ქართლის ზოგიერთი სოფელი 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით (გადაცემულია დასაბეჭდად).

1728 Tarihli Tiflis Vilayeti Mufassal Defteri

Eskiden Başbakanlık Devlet Arşivinde muhafaza edilmekte olan 1728 tarihli Tiflis vilayetinin mufassal defteri doğu Gürcistan tarihi'nin en önemli kaynaklarından birisidir. Defterle ilk kez Gürcü tarihçi S. Cikia ilgilendi, fakat hayattayken yayıma yetiştiremedi. Kaynak hemen hemen şifrelenmiş ancak yayımlanabilmesi için üzerinde daha çok çalışılması gerekiyor. Merhum tarihçinin kaynağı yayımlanabilecek duruma getirmeye ne yazık ki ömrü yetmedi. Şüphesiz Gürcistan tarihi için defterin önemi büyüktür. Adı geçen defter Gürcistan ve Kafkasya tarihçilerini muhakkak ilgilendirecektir. Kaynak Gürcistan'ın sosyal-ekonomik ve siyasal tarihi, aynı zamanda tarih-coğrafya, dil bilim, onomastik, istatistik v.s. açısından çok değerli veriler içermektedir. Defter iki ciltlidir. İlk cilt 528, ikinci cilt ise 558 sayfadır. Defterin boyutları: kapak 55x19 cm., sayfalar ise 52x18 cm.dir. Deftere Tiflis Vakıf-namesi olarak birkaç sayfa ilave edilmiştir. Bu vakıf-name Tiflis vilayetindeki vakıflar tarihinin araştırılması için çok mühimdir. 528. sayfadan itibaren birkaç sayfa boştur. Yine 11-24. ve 418-419. sayfalar da boştur.

Deftere bakılarak Kartli'de XVIII. asrın 20'li yıllarında Osmanlılar tarafından oluşturulmuş durum muhakeme edilebilir. Bütün Kartli: Satsitsiano, Muhrani, Saamilahvro, Aragvi Deresinin tamamı, Kvemo (Aşağı) Kartli Osmanlı hükümlerine altına girmiş ve tahrir uygulaması sonucu Osmanlı vergi sistemine dâhil olmuştur.

Deftere ilave edilmiş olan vakıf-name ise Gürcistan'ın vakıflar tarihini araştırmak için noksansız bilgiler vermektedir. Vakıf tarihinin Gürcü tarih ve literatüründe henüz hiç araştırılmamış olması¹ defterin önemini daha da artırmaktadır. Artık elimizde vakıflar ve vakıf tarihi için mühim bir kaynak bulunmaktadır.

Defterde Osmanlı vergileri, bütün köylerin ve ahalisinin sayıları takdim edilmiştir. Defterin birçok yerinde ek yazılara da rastlıyoruz. Her köyün sınırı tarif edilmiştir.

Vakıf-nameye vakfa bağlı camilerde faaliyet gösterenlerin maaşlarını, yaptıkları işleri ve kimliklerini açıklayan birkaç sayfa ilave edilmiştir. Tiflis'te çalışan ve şerefle kendi işlerini gören Müslümanlar hakkında bilgi verilmiştir. Bununla birlikte Vakıf-namenin tam metni de mevcuttur. Defter III. Sultan Ahmed (1703-1730) tuğrasıyla tasdik edilmiştir.

Vakıf-namede camilerdeki hizmetlilerin listesi verilmiştir. Görevleri, çalışmaları ve maaşları hakkında bilgiler bulunmaktadır. Aynı zamanda çok ilginç problematikler de bulunmaktadır. Bu problematiklerin araştırmacıların çok ilgisini çekeceğini düşünmekteyiz. Böyle bir girişten sonra defter geniş bir fihrist ile başlamaktadır.

¹ Vakıflar hakkında bkz. N. Şengelia, Türkiye Arşivlerindeki Gürcistan Hakkında Osmanlı Belgeleri, Gürcü Diplomatı, c.6, Tibilis, s. 169-180.

Defter Tiflis Kalesinin Rabadı ile başlıyor. Burada 110 Ermeni ailesi oturmaktadır. Ardından 85 hanenin bağlı olduğu Küçük Mite kilisesi geliyor. Sonra 102 hane ile Fethain kilisesi verilmiştir. Bundan sonraki 420 hanelik Sihak kilisesi bu nüfusa besleyecek kadar güçlü bir kilise olarak görünmektedir. Müteakip kilise 111 ailenin bağlı olduğu Muğan kilisesidir. Daha sonra 355 haneyle Noraşen kilisesi geliyor. Ardından 395 haneli Şibun Gürcüyan kilisesi, 149 haneli Sutinşah kilisesi, 155 hanenin bağlı olduğu Ançishati kilisesi, 16 hane ile Vank kilisesi, 333 haneyi içeren Susarkis kilisesi, 30 hanelik Kurda kilisesi, 52 hane ile Alem Kalem kilisesi gelmektedir. En son olarak 90 hane ile Amo kilisesi kaydedilmiştir. Buna ilaveten çeşitli vergiler, bunların arasında çarşı vergileri ve miktarları da belirtilmiştir. Tiflis ahalisinin yükümlülükleri ve ödediği vergiler açıklanmıştır. Çarşılarda satılacak mallardan, fırınlardan vs. alınan vergiler kaydedilmiştir. Gösterilen vergilerin genel toplamı 191034 akçedir. Bunun yanında medreselerin ödedikleri vergiler gösterilmektedir. Medrese sakinlerin ve hizmetlilerinin gelirleri ve onlar tarafından ödenen çeşitli vergiler de belirtilmiştir.

Daha sonra defterde Gori livası takdim edilmiştir. Gori livası birkaç nahiyeyi içermektedir. İlki olan Satsitsiano nahiyesine 130 köy bağlanmıştır. Bu köyler hakkında bilgiler ayrı ayrı ifade edilmiştir. Her köyün geliri, nüfusu, sakinlerinin isimleri tamamıyla kaydedilmiştir. Satsitsiano hakkındaki bilgiler defterin 47-184 sayfalarında bulunmaktadır. Müteakip nahiyeye Petre nahiyesidir (s.185-213).

Livaların durumlarına geçmeden önce daha önceki sayfalarda bulunan kayıtları, başka bir ifadeyle, defterin ehemmiyetini, yerli ahalinin ödedikleri vergileri ve onların görevlerini kısaca açıklayalım.

Yukarıda kısaca Tiflis'te bulunan kilise ve camiler ve orada faaliyet gösteren din görevlilerinden bahsetmiştik. Tiflis'te çok sayıda kilise ve caminin bulunmaktadır. Sakinleri de buralarda ki ilgili görevlerini yerine getirmektedir.

Bununla beraber Tiflis'te bulunan mukataa araziler ve bu arazilere konulan vergiler gösterilmiştir. Bunlar: gümrük vergileri, ölçü, terazi, tütün, meyve, çarşıda satılacak, mesela at veya köle, vergileridir. Aynı zamanda kiremit evlerin, vakıf arazilerinin, Kür nehrinde tutulan balığın, bostanların, nehirlerin yanında yapılan değirmenlerin (asiyâb) vergileri de gösterilmektedir. Zarphanelerden alınan vergiler de unutulmamıştır.

Defterde Mir-i miran hasından alınan vergiler sayılmıştır. Vergilerin miktarı Mir-i mirana yetecek kadar çoktur. Bununla beraber Tiflis Miri-miranı tarafından ödenen vergiler de gösterilmiştir. Tiflis beylerbeyinin hasından alınan ispenç resmi 440.760 akçedir. Tiflis subaşılığı kendi hasından 12.000 akçe ödüyordu. Büyük vezir İshak Paşa şerif mütevellisinden her sene 3.000 akçe alıyordu. Tiflis beylerbeyi kendi hasından gelir olarak tumarlarından bâd-ı hevâ vergisini almaktaydı. Liva-i Tiflis'ten, Ermenistan, Akça Kale, Kazah, Gori, Kartli uliya ve süfla vs. hası hümayunlardan, Miri-liva-i hasından, zeamet, vakıf ve Sultan damadının haslarından senelik 60.000 akçe almaktaydı. Tiflis hasından 12.000 akçe beyt-ül-mal ve diğer başka gümrük resimleri alınıyordu.

Bunlarla beraber dörder akçe damga resmi toplanıyordu. Her koyundan okkaya ikişer akçe alınıyordu. Has Miri-i miranı 14.000 akçe alıyordu¹.

Didube'nin toplam geliri 54.820 akçeydi. Dükkân ve kalelerin etrafındaki mahallelerden iltizam alınıyordu. Toplam 30 dükkân sayılmıştır. Senelik ödenilecek para 7.560 akçeydi. Tiflis fırıncıları her sene 5.390 akçe ödemekteydiler. Bütünüyle onlardan 191.084 akçe vergi tahsil ediliyordu. Günlük 299, senelik ise 106.440 akçe geliri olan çeşitli memurlar sayılmıştır².

Bununla beraber camilerden birinin geliri, gideri ve vergileri tasvir edilip hesaplanmıştır. Sonraki sayfalarda cam-i görevlilerinin çalışmaları, gelirleri ve görev hiyerarşisi hakkında bilgi verilmiştir. Vergi miktarları, günlük gıda ve senelik gelir sureti esas alınarak hesaplanmıştır³.

Müteakip sayfalarda köyler sıralanmıştır: Navtluği, Bakal Kent, Araşenda ve Çuğureti. Her köy belli bir miktar vergiyle vergilendirilmiştir. Çeşitli vergilerin toplamı 4.000 akçedir. Bunlar ise adet-i ağnam, tapu-i zemin, deşt-i bani, öşri-bağat, resm-i guvare, resm-i arusane, resm-i asiyâb, nısf-ı bad-i heva vs. gibi vergilerdir.

Halabir'e (Avlabari) tabii olan 32 hanelik Didube köyü gösterilmiştir. Vakıfların günlük geliri 250 akçedir. Bütün Didube ahalisi her tür vergisini ödemektedir. Sakinlerin hemen hemen yüzde yüzü Gürcüdür. Daha sonra Halabir rabadı tasdik edilmiştir. Rabatta 76 hane bulunmaktadır. Ödedikleri ispenç ve diğer vergilerin toplamı 1.500 akçedir.

Daha sonra vakıf medresesi, hizmetlilerin görevleri ve maaşları ifade edilmiştir. Her vergi ve maaş miktarı hesaplanmıştır. Bu açıdan medrese hizmetlilerinin görevleri ve çalışmaları çok ilgi çekicidir⁴.

Defterde hiçbir Gürcü vergisi kayıtlı değildir. Her iki ciltte de sadece Osmanlı vergileri hakkında bilgiler verilmektedir. Defter Osmanlı vergileri, vergi sistemini araştırmak için çok değerli bir kaynaktır.

Petre nahiyesinin bütün ahalisi Gürcüdür. Toplam vergi miktarı 40.360 akçedir. Bu nahiyede yaşıyan köylüler, başka nahiyelerin köylüleri gibi Osmanlı vergilerinin tamamını ödemektedirler. Osmanlılar 5-6 yıllık egemenlikleri müddetinde burada kendi sosyal ve siyasal sistemlerini geçirebildikleri görülmektedir. Petre nahiyesinin köyleri şunlardır: Papa, Çobishevi, Sadgeri, Ahaldaba, Zanavi, Çala, Likani, Kortaneti, Abanoshevi vs. Petre nahiyesine 41 köy bağlanmıştır.

Sonraki nahije Tiflis vilayetindeki en büyük liva olan Gori'nin Saamilahvro nahiyesidir. Burada pek çok köy takdim edilmiştir. Nahije defterde en fazla, 214'ten 370'e kadar, yani yaklaşık 160 sayfa tutmuştur. Saamilahvro'ya 163 köy bağlanmıştır. Bütün köylerin nüfusu, vergi çeşitleri, topraktan yararlanma kuralları ve diğer bazı bilgiler açıklanmıştır.

¹Tiflis Vilayetinin Mufassal Defteri c.1, s.74

²Aynı

³Aynı, s. 75-79.

⁴Aynı, s. 84.

Saamilahvro'nun ilk köyü Taşiskar'a yakın olan Kvişheti'dir. Burada köy sınırları da açıklanmıştır. Sadece Kvişheti'de 140 hane bulunmaktadır. Genel vergiler ile beraber köy 65.770 akçe ile vergilendirilmiştir. Bunun gibi büyük köyler Saamilahvro'da oldukça çoktur. Bunun yanında defterde 255 haneli Surami köyü kaydedilmiştir. Bu köyün ahali de Osmanlı vergilerini ödemektedir. Vergi genel toplamı 1.500 akçedir. Köyde Yahudi nüfus da mevcuttur. Onların adları da verilmiştir.

Bununla beraber 15 haneli küçük Haşuri köyü gösterilmiştir. Sonra Osiauri, Ahali Sofeli (Yeni Köy), İtriya, Çumateleti vs. köyler sayılmıştır.

Saamilahvro'nun büyük köylerinden biri olan 103 ailenin oturduğu Daka Köyüdür. Toplam vergi miktarı ise 33.300 akçedir.

108 aileli Zağlevi köyü de büyük köylerdendir. Vergisi 30.840 akçedir. Yerliler 1.230 akçe tutarındaki vergilerini ödemektedirler. Onun yanında gösterilen Sağolaşen ise küçük bir köydür.

205 hanenin bulunduğu ve 66.832 akçe vergi ödeyen va^olovani köyü de çok büyük köylerinden biridir.

Bunların yanında Tamaraşeni, Kurta ve Urbnisi gibi küçük köyler de vardır. Buna karşılık, Receb Paşa isimli birine ait olan ve vakıf olarak takdim edilen Ruisi köyü çok zengindir. Köyde 449 aile yaşamaktaydı ve ahalesinin ödediği vergi miktarı ise 196.620 akçeydi.

Adı geçen vakıftan sonra çeşitli Gürcü soylularına ait araziler arasında sınırlar konusu açıklanmıştır. Daha sonra vakıf müessesesi, yani cam-i hakkında çeşitli bilgiler verilmiştir. Maaşlar, bağlar, bahçeler ve diğer vergiler ile vergilendirilmiş gelir kaynakları hakkında malumat verilmiştir. Sonra cam-i kebirde su borularının tamiri meselesi bahis konusu olmuştur. Cam-i kebirin mütevellisi tarafından çeşitli çalışmalar için her sene harcıyabilecekleri 9.600 akçelik gelir gösterilmiştir. Bununla beraber mütevellili farklı giderler için 9.400 akçe daha harcayabilirdi¹.

137 haneli Heltubani de büyük ve zengin köylerdendir. Ödediği vergilerin genel toplamı 44.964 akçedir. Ondan çok daha küçük Tortiza köyünde ise 26 aile oturuyordu.

Saamilahvro'dan kısaca bahsettik. Tiflis vilayetinin mufassal defteri XVIII. asrın ikinci çeyreğinin Saamilahvro tarihi hakkında pek çok ve ilginç bilgiler vermektedir. Görüldüğü gibi 130'dan fazla köy hakkında kayıt mevcuttur. Defterde bununla beraber Ksani ve Aragvi derelerinin köyleri de kaydedilmiştir. Aynı zamanda Gucareti, Trialeti, Gomareti, Kaykuli vs. bölgeleri hakkında tafsilatlı bilgiler verilmiştir.

Defterin müteakip sayfalarında Ksani ve Aragvi derelerinde bulunan köyler tasvir edilmiştir. Ksani deresinde 25 köy sayılmıştır. Onların gelirleri, nüfusu ve vergileri de gösterilmiştir. 67 haneli Ahalgori köyü diğer köylerden daha büyüktür. Köylüler tarafından ödenen vergi miktarı 22.570 akçedir. Köylerin sınırları da

¹Defter, c. 1, s.348.

açıklanmıştır. Köylerin nüfusu çok azdır. Ksani bölgesine 24 köy ve bir çiftlik bağlanmıştır. Bunlardan birkaçının köy ahalisi boşalmıştır. Daha sonra Aragvi deresi anlatılmıştır. Kaydedilmiş olan 27 köyden bazılarının köy ahalisi boşalmıştır.

20.140 akçe ile vergilendirilmiş Duşeti de oldukça büyük bir köydür. Bölgede bunun dışında Çala, Ahalubani, Ahalgori, Çargali, Bodorna, Arhot, Bazaleti, Handa, Arğuni vs. adlı köyler bulunmaktadır.

Ksani ve Aragvi derelerindeki köylerden sonra Gori kalesi, Gori rabadı ve Gori mahallesi verilmiştir. Bunların yanında birkaç mahalle, özellikle Rostomi, Vardisubani, Karnaki, Kovladsminda, Parsadani mahalleleri sayılmıştır. Her mahallenin köyleri vardır.

O dönemde Gori'de 264 hane bulunuyordu ve milliyet açısından karışık bir nüfusa sahipti. Gürcülerle beraber Ermeni ve Türkler de oturmaktaydı. Burada çok sayıda bağ, bostan, kır, vakıf, üzüm bağı ve değirmenlere rastlıyoruz. Köylülere her tür Osmanlı vergisi konulmuştu. İmamlık, Müezzinlik ve bunlara benzer vergiler de özellikle dikkatimizi çekmektedir.

Defterin sonraki sayfalarında Muhrani livası kayıt olunmuştur. Buraya da büyük bir kısmının ahalisi boşalmış olan 45 köy bağlanmıştır. İlk olarak Muhrani'ye tabii olan Mskheta kilisesi gösterilmiştir. Burada 12 hane bulunmaktaydı. Muhrani'nin 45 köyünden 6'sı dışındaki köylerin hepsi boştur. Buna rağmen her köye yine de belli bir miktarda vergi yazılmıştır.

Defterde Trialeti kazasının 83 köyü de ele alınmıştır. Birinci köy Tiflis beylerbeyinin hası olan ve 80 hanenin birleştiği Andrap Kebiri köyüdür. Köye 18.714 akçelik vergi konmuştur. Ahalisi aslında Gürcüdür. Hemen hemen her köyde nüfus hissedilecek kadar azalmıştır. Defterde bu köyler arasında ki sınırlar da belirtilmiştir. Vergi yazılmasına rağmen ahalisi boşalmış köylere de rastlıyoruz.

70 hanenin bulunduğu ve 25.333 akçe ile vergilendirilmiş olan Ahalşeni köyü de büyük köylerdendir. 60 aileli Badidi köyü Tiflis Beylerbeyinin hasındandır. Bu köye 25.074 akçe vergi konulmuştur. Trialeti nahiyesinin nüfusunun bir kısmı boşalmıştır. Genel olarak 84 köyün hepsi vergilendirilmiştir. Bunlar aslında küçük köylerdir. Bunlar arasında bazı büyük köyler de görüyoruz. Her şey vergilendirilmiştir. Köy sınırları tamamıyla açıklanmıştır.

Müteakip nahiye Gomareti'dir. Burada 17 köy takdim edilmiştir. Gomareti nahiyesinin en büyük köyü Didi (Büyük) Gomareti'dir. Bu köyün nüfusu 108 hane, vergi miktarı ise 30.000 akçedir. Geri kalan köyler ise daha küçüktür. Yerliler bütün vilayetin ahalisin ödedikleri vergileri ödemektedirler. Defterde sadece Osmanlı vergileri mevcuttur. Gürcü vergilerine ise hiç rastlamıyoruz.

Bölgenin çoğu köyü Tiflis beylerbeyinin hasaları olarak yazılmıştır. Köy isimleri, gelirleri ve vergileri ifade edilmiştir. Genellikle Mir-i mirana ait olan bu tür haslara çokça rastlamaktayız. Mesela, Ahalkalaki hası Somhiti mirlivasındaydı. Bunun yanında Tiflis ve Ermenistan Mirlivalarına ait birkaç köy sayılmıştır. Bu bölgede has olarak verilecek boş arazilerin daha çok olduğunu görmekteyiz.

Ardından gelen yönetim birimi 16 köylü Gucareti'dir. Tüm köyler vergilendirilmiştir. Çoğu köy ahalisi boşalmıştır. Bazı köyler zemet olarak geçmektedir.

Defterin son kısmı Tiflis Vilayetinin Kaykuli Kazasına aittir. Burada 51 köy ve 10 meskûn yer kaydedilmiştir. Kaykuli'nin ilk köyü 190 ailenin yaşadığı Kazancı'dır. Kazancı'da Sarkis Mahallesi bulunmaktadır. Köy ahalisi 85.000 akçe vergi ödüyordu. Çarşıda satılacak malların fiyatları da verilmiştir. Köy sınırları özellikle anlatılmıştır. Bir sayfa, başından sonuna kadar sınırların tespit edilmesi meselesine ayrılmıştır. Köyler arasındaki durum da açıklanmıştır.

146 hanenin bulunduğu Kızıl Koç da büyük köylerden bir diğeridir. Vergi olarak 52.702 akçe ödemektedir. Sakinleri aslen Ermenidir. Burada Türk kavimleri de bulunmaktadır. Köy sınırları üzerinde oldukça durulmuştur. Bütün köylerin sınırları tamamen tespit edilmiştir. Köylerin bir kısmının ahalisi boşalmıştır.

Defterin birinci cildi köyler arasındaki sınırların anlatılmasıyla sona eriyor. Defterin son sayfası 528'dir. Burada defterin düzenlenme tarihi 24 Receb 1140/ 7 Mart 1728 olarak kaydolunmuştur. Defterin başlangıcında, daha doğrusu fihristin sonunda, belli bir miktar vergiyle beraber 12 köy ismi sayılmıştır. Bunlar: 1. Havlabar rabadı -1.500; 2. Niakuri- 2.000; 3. Nakrilu- 2.000; 4. Kudisi-2.000; 5. Şaverdusi-2000; 6. Kund Krişi-2.000; 7. Bubiluci-2.500; 8. Nakıd Kend-2.000; 9. Araşenda -?; 10. Çuğureti-4000; 11. Didube-54.820 ve 12. Teleti-5.280.

Böylece defterin birinci cildinin vermiş olduğu bilgileri kısaca anlatmış olduk. Görüldüğü gibi bu defter Kartli tarihini daha yakından tanımak için çok ilginç ve önemli bilgiler içeren bir kaynaktır. Dolayısıyla üzerinde genişçe müzakere edileceğini muhakkaktır. Tiflis vilayeti mufassal defterinin ikinci cildi 558 sayfadır. Bu ciltte birinci ciltte göre daha fazla bağlı yer bulunmaktadır. Aşağıda Tiflis defterinin ikinci cildinde kaydedilen toprakların durumun, alınan vergiler ve diğer konular incelenecektir.

Defterin ikinci cildine Tiflis vilayetindeki köylerin fihristiyle başlanılmıştır. İlk olarak Sabaratiano nahiyesi ve ona ait köylerin isimleri bulunmaktadır. Her köyün nüfusu, oradan alınan vergi çeşitleri ve miktarları açıklanmıştır. Vergilerin genel toplamı da yazılmıştır. Bölgede çeşitli vergilerin olduğunu görmekteyiz¹.

Defterde binden fazla köyün adı kayıtlıdır. Her köye konulan vergilerin genel toplamı her köy için tutulan kaydın altına ayrıca yazılmıştır. Bunun yanında Tiflis'e yakın köylerin adları da verilmiştir. Bunlar: Armazi, Okrokana, Kocori, Skneti, Ahaldaba, Betania, Lisi, Diğomi, Muhatgverdi, Teleti, Krsanisi, Sarkineti vs. köyleridir. Defterde kışlak ve cemaatlara da rastlamaktayız. Meskûn olan her yer ayrıntılı bir şekilde tarif edilmiştir.

¹Tiflis Vilayetinin Mufassal Defteri'nin ikinci cildinin Borçalı ve Kazah hakkındaki kısmı 2001'de Bakû'de H. Mamedov ve Ş. Mustafayef tarafından yayınlanmıştır [Tiflis vilayetinin Mufassal Defteri. Borçalı ve Kazah (1728)].

Defterde her köy hakkında ayrı ayrı açıklama yapılmış, köylerin sınırları da belirtilmiştir. Fihriste bulunan binden fazla köy farklı farklı bölgelere aittir. Adı geçen köylerden 300'ü Sabaratiano' dadır. Üç yüz birinci köyden itibaren Dmanisi (Tumanis) nahiyesinin köyleri başlamaktadır. Dmanisi'nin köylerinin ardından Baydar nahiyesinin köyleri gelmektedir. Baydar nahiyesinde cemaat ve kışlaklara da rastlamaktayız. 385. köyden itibaren meskûn yerler, kışlaklar (cemaatlar, yüzbaşılar) Timurci Hasan nahiyesine aittir. Bu yerlerin tümü Tiflis Kazasının tabiiyetindedir. Defterden Kartli'de çok sayıda cemaat ve kışlağın olduğu anlaşılmaktadır. Burada nüfus oldukça çok kalabalıktır. Aynı zamanda göçmen Türkmenlerin varlığının belirleyicisi olan yatak ve kışlakların çoğaldığı, Kvemo (Aşağı) Kartli'nin bazı bölgelerinde Türk kavimlerinin sayısının arttığı da görülmektedir. Gürcü Hıristiyan ahalinin ise neredeyse hiç kaydedilmemiş olduğunu söyleyebiliriz. Gürcü din adamlarına da hiç rastlamıyoruz. Defter de Şulaver, Somhiti'nin içinde gösterilmiştir. Burada bağlar, üzüm bağları ve köy sınırları hakkında bilgiler verilmiştir. Şulaver'de birçok üzüm bağı olduğunu görmekteyiz.

Köylerin önemli sayıdaki bir bölümü Somhiti nahiyesinin tabiiyetindedir. Köyler taksim edilirlerken buralarda bulunan tepe, mezar yer isimleri de belirtilmiştir.

Defterde kayıtlı 597. köyden 644. köye kadar olan köyler Taşir nahiyesine bağlıdır. Daha sonra Panbak nahiyesine bağlı köyler verilmiştir. Ança nahiyesi Kazah livasına dâhil edilmiştir. 799. köyden itibaren Kazah livasına bağlı olan köyler açıklanmıştır. Köylerin kaydı Ança nahiyesi ile başlamakta ve 855. köye kadar devam etmektedir. Ardından müteakip köylerin bağlı olduğu Cavadi nahiyesi gelmektedir.

Bir miktar köy de Ahsabad nahiyesine aittir.

Bu şekilde, Tiflis vilayeti mufassal defterinin ikinci cildi, kayıtlı 1.028 köy hakkında ayrıntılı bilgiler içermektedir. Burada adı geçen köyler hakkında malumatlar ayrıca verilmiştir. Özellikle ayrı ayrı vergi çeşitleri, bu dönemde doğu Gürcistan'ın sosyal-ekonomik durumu, ahalisinin dini ve etnik terkihi ve daha başka birçok soruya cevap verilmiştir.

Tiflis Vilayeti mufassal defterinin bir ve ikinci ciltleri XVIII. yüzyılın ikinci çeyreği için Kartli sosyal-ekonomik ve siyasal tarihi için en iyi kaynaklardan biridir.

Defter bölgenin durumunu anlatan zengin bilgiler içermektedir. Bu defterle benzer verileri içeren ve aynı değerlerde olan bir diğer kaynak, Gürcistan vilayetinin mufassal defteri, üç cilt halinde S.Cikia tarafından yayımlanmıştır. Tiflis vilayetinin mufassal defteri de Kartli tarihi için eksiksiz bilgiler içeren önemli bir kaynaktır. Günümüzde ise Tiflis vilayetinin mufassal defterinin iki cildinin ortaya çıkarılması ve yayınlanması Gürcü tarihinin ertelenemez meselelerinden bir tanesidir.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთრის ვაკუფ-ნამე

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში დაცული ვაკუფ-ნამე ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად. უნდა აღინიშნოს, რომ ვაკუფების ისტორიის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად სცადა აკად. ს.ჯიქიამ. მან ხაზი გაუსვა ვაკუფების დიდ მეცნიერულ ღირებულებას და აღნიშნა, რომ ვაკუფები საქართველოში დამოწმებულია მხოლოდ თბილისში, გორსა და თრიალეთში. ამის შემდეგ ვაკუფების შესწავლის საკითხზე დიდხანს არაფერი დაწერილა. 1999 წელს თურქეთში სამეცნიერო მივლინების ანგარიშში ჩვენ მოკლედ შევეხეთ თურქეთის არქივებში დაცულ ვაკუფ-ნამეებს, მივუთითეთ კიდევ რამდენიმე დოკუმენტზე¹. ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია ის ვაკუფ-ნამე, რომელიც სარდალ მუსტაფა ლალა ფაშას XVI საუკუნის 60-იან წლებში ებოძა. იგი ძალიან საინტერესოა, აღნიშნული პერიოდის მრავალი საკითხის გასათვალისწინებლად. მასში ჩამოთვლილია ყველა ის სოფელი და დასახლებული პუნქტი, რომელიც მიიღო სარდალმა. ვაკუფ-ნამეს შიფრია: 608. ამ დოკუმენტის თარგმნა, კომენტირება და ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ძალიან საშური საქმეა.

თბილისის ვილაიეთის ვაკუფ-ნამეს ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა მკვლევარმა, ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა როინ შანთაძემ. მან წარმოადგინა ნაშრომი “ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“. თემაზე: “1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში დაცული ვაკუფ-ნამე“. ავტორს ამ ნაშრომში განხილული აქვს ეპოქის მოკლე მიმოხილვა. ავტორი საუბრობს დავთრის, ვაკუფისა და ვაკუფ-ნამეს შესახებ, საბუთის ენობრივ თავისებურებაზე და წარმოდგენილი აქვს თბილისის ზოგადი სახე დოკუმენტის მიხედვით. შემდეგ მოცემული აქვს ვაკუფ-ნამეს ქართული თარგმანი, სათანადო შენიშვნებითა და განმარტებებით.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მოზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ ვაკუფ-ნამეს სრული ქართული თარგმანის გამოქვეყნება.

დღემდე ვაკუფ-ნამე არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი. ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვა უთუოდ ბევრ საინტერესო საკითხს წარმოაჩენს. მით უფრო მასალები უზვადაა დაცული თურქეთის არქივებში. კერძოდ, ანკარის ვაკუფების სამმართველოს არქივში.

ჩვენს მიერ ქვემოთ მოტანილი ვაკუფ-ნამე ძალიან საინტერესო ძეგლია XVIII საუკუნის თბილისის ვილაიეთის ისტორიის არაერთი საკითხის წარმოსაჩენად.

¹ ნოდარ შენგელია, საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები თურქეთის არქივებში /თურქეთში სამეცნიერო მივლინების ანგარიშიდან/. წერილი I. ქართული ლიბლომატია, წელი-წლეული. 6. თბ. 1999. გვ. 169-170.

ვაკუფ-ნამე მაშინ შემოდის ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში იწყება ოსმალთა, ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა. საქართველოში არსებობას იწყებენ ოსმალური ფეოდალური ინსტიტუტები, ქვეყანაში ქრება ქართული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია და არსებობას იწყებს ქართული სინამდვილისათვის სრულიად მიუღებელი და უცხო ტერმინოლოგია, როგორიცაა თიმარი, ზიამეთი, ხასი და სხვა. იწყება ქვეყნის თურქიზაციის პროცესი.

